პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი შაბათი 31 მარტი № 75 (17420) □ ფასი 2 კაპ.

## წინ, სიჭაბუკევ!

დღეს საქართველოს კომკავშირს ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში მოპოვებული წარმატებებისათვის გადაეცემა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა

## ავამაღლოთ საყოფაცხოვრებო მომსახურების კლასი!

ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე წლის გეგმით გათვალისწინებულია მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარების დაჩქარება. მომსახურების მოცულობა 7,7 პროცენტით გადიდდება და 7,4 მილიარდ მანეთს მიაღწევს, ეს საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლების იმ პროგრამის რეალიზაციის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მიმართულებაა, რომელიც სკკპ XXV ყრილობამ მიიღო.

საყოფაცხოვრებო მომსახურების ასეთი ზრდისათვის ყველა პირობაა შექმნილი. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ზრუნვის მეოხებით იგი სახალხო მეურნეობის დიდი მექანიზებული დარგი გახდა. ახლა საქმე იმას ეხება, რომ გადაჭრით ავამაღლოთ სერვისის ხარისხი და კულტურა, მაქსიმალურად გამოვიყენოთ თანამედროვე ტექნიკა. ამის პირველი პირობაა დარგის მშრომელთა მუშაობის ზუსტი ორგანიზაცია.

მოსახლეობის მომსახურების მასშტაბის მუდმივი გაფართოება სულ უფრო მწვავედ სვამს მომსახურების სფეროს მართვის პრობლემას. ცხოვრებამ დაადასტურა, რომ საყოფაცხოვრებო სამსახურის განვითარების გენერალური მიმართულებაა გაერთიანებებისა და სპეციალიზებული საწარმოების შექმნა. აქ ეფექტიანად არის გამოყენებული მოწყობილობა, უფრო სწრაფად ინერგება პროგრესული ტექნოლოგია და ამის შედეგად შესამჩნევად აუმჯობესებენ შეკვეთების შესრულების ხარისხს, ითვისებენ მომსახურების ახალ ფორმებს.

თუმცა ცხადია ასეთი საწარმოების უპირატესობა, მაგრამ ზოგიერთ რესპუბლიკაში მათი შექმნა ჭიანურდება. თუ რუსეთის ფედერაციაში გაერთიანებებისა და ფირმების წილად უკვე მოდის მომსახურების მოცულობის 70 პროცენტზე მეტი, ტაჯიკეთში, თურქმენეთში — გაცილებით ნაკლები. მიზეზი ის არის, რომ აქ ჭეროვნად არ აფასებენ სერვისის ორგანიზაციის ახალი ფორმების კეთილნაყოფიერ როლს. დროა დავივიწყოთ დარგის განვითარების პერსპექტივებზე მოძველებული შეხედულებანი. დავაჩქაროთ წარმოების კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის პროცესი — ნიშნავს თვისებრივად ახალი ნაბიჯი გადავდგათ წინ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გზაზე.

რა თქმა უნდა, გაერთიანებები შეუფერხებლად იმუშავებენ, თუ ექნებათ საიმედო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ეყოლებათ კვალიფიციური კადრები. სწორედ ეს აძლევს საშუალებას, მაგალითად, ივანოვოს „რემყოფტექნიკას", ზაპოროჟიეს „ყოფრადიოტექნიკას", ერევნის ფეხსაცმლის ინდივიდუალური კერვისა და შეკეთების გაერთიანება „ნაირის" წარმატებით გაართვან თავი თავიანთ დავალებებს. მაგრამ ისეც ხდება, რომ სპეციალიზებული საწარმო, რომელმაც პატარა, დაქსაქსული სახელოსნოები შეცვალა, უზრუნველყოფილი არ არის საკმარისი საწარმოო ფართობებით, მოწყობილობით, ტრანსპორტით, ოსტატებით. ამიტომ უნარი არ შესწევს მოემსახუროს მთელ ოლქსა თუ მხარეს. მაგალითად, ასეთი რამ შეემთხვა გაერთიანება „გორკოლქტრიკოტაჟყოფს". ამის შედეგად მოსახლეობა ბევრ უხერხულობას განიცდის, სახელი უტყდება პროგრესულ სიახლეს. თავიდან რომ აიცილონ ამგვარი შეცდომები ადგილობრივმა ორგანოებმა ყოველმხრივ უნდა მოამზადონ სერვისის ორგანიზაციის ახალ ფორმებზე გადასვლა.

**«ПРАВДА»**

**29 მარტის მოწინავე**

ათობით საკონსტრუქტორო ბიურო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ამუშავებს, ხოლო დაახლოებით 200 მანქანათსაშენებელი ქარხანა უშვებს პროგრესულ მოწყობილობას საყოფაცხოვრებო სამსახურისათვის. წლითიწლობით მის საწარმოებში ინერგება სულ უფრო მეტი ახალი მანქანა, ხელსაწყო, მაგრამ ტექნიკას ხშირად ერთ ცვლად იყენებენ და ამიტომაც სათანადო უკუგებას ვერ იღებენ. ეს უწინარეს ყოვლისა ეხება აზერბაიჯანს, საქართველოს, სადაც საწარმოო სიმძლავრენი სუსტად არის დატვირთული. თუ ქვეყნის საყოფაცხოვრებო საწარმოთა მუშაობის ცვლიანობის კოეფიციენტს, რომელიც ახლა 1,2 შეადგენს, ორი მეათედით ავამაღლებთ, მაშინ მოსახლეობას დამატებით მილიარდ მანეთზე მეტი ღირებულების მომსახურებას გავუწევდით. აი რეზერვი, რომელიც უნდა ავამოქმედოთ! ამისათვის საბჭოთა ორგანოებმა, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რესპუბლიკურმა სამინისტროებმა უფრო აქტიურად უნდა დანერგონ სერვისის საწარმოებში ერთნახევარ-ორცვლიანი რეჟიმი, დღენიადაგ იზრუნონ კვალიფიციური კადრებით წარმოების შევსებისათვის.

მოწყობილობას ეფექტიანად ვერ ვამუშავებთ, მომსახურების ხარისხსა და კულტურას ვერ ავამაღლებთ, თუ არ გავაუმჯობესეთ მიმღები ქსელის საქმიანობა. რამდენიმე წლის წინათ გამოჩნდა სერვისის ახალი ფორმა — კომპლექსური მიმღები პუნქტები, რომლებიც მეტად მოსახერხებელია მოსახლეობისათვის, ისინი სწრაფად გავრცელდა სოფლად, აქ ახლა 35 ათასზე მეტი ასეთი პუნქტია. მაგრამ ყველას როდი შეუძლია კარგად მოემსახუროს შემკვეთებს. პუნქტების ნაწილი განლაგებულია პატარა შენობებში, ცუდად არის აღჭურვილი, არ ითვალისწინებს მომსახურების ფართო ასორტიმენტს. ეს დამახასიათებელია, მაგალითად, ბრიანსკისა და კოსტრომის ოლქებისათვის, ყალმუხეთის ასს რესპუბლიკისათვის. საყოფაცხოვრებო მომსახურების რაიონული საწარმოო სამმართველოების და კომბინატების პირდაპირი ვალია რაც შეიძლება სწრაფად მოაგვარონ კომპლექსური მიმღები პუნქტების საქმიანობა. მათ უნდა ეხმარებოდნენ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები.

ლენინგრადისა და კიევის გამოცდილება მოწმობს, თუ რაოდენ პერსპექტიულია სერვისის ასეთი ფორმა არა მარტო სოფლად, არამედ ქალაქებშიც. მაგრამ იგი სამრეწველო ცენტრებში ძალიან ნელა ვითარდება — დღეს ქვეყნის ქალაქებში კომპლექსური მიმღები პუნქტები ათჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე სოფლად. ზოგჯერ ნაკლებ ინიციატივას იჩენენ საყოფაცხოვრებო სამსახურის ხელმძღვანელები. საქმეს აფერხებს აგრეთვე გარკვეული სიძნელენი, კადრების მომზადებასა და შენობების შერჩევაში. აქ ადგილობრივი სახალხო დეპუტატთა საბჭოების დაუხმარებლად ფონს ვერ გავალთ.

ბევრმა პარტიულმა კომიტეტმა გააძლიერა ყურადღება მომსახურების სფეროს კადრების შერჩევისადმი, განაწილებისა და აღზრდისადმი, მაგალითად, მოსკოვის, დონეცკის, იაროსლავლის ოლქების, ბაშკირეთის ასსრ რესპუბლიკის საყოფაცხოვრებო საწარმოებში გაიგზავნა ასობით სპეციალისტი, კვალიფიციური მუშა, რამაც ხელი შეუწყო ტექნოლოგიური და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას, სერვისის კლასის ამაღლებას. სწორად იქცევიან იქ, სადაც აძლიერებენ საყოფაცხოვრებო სამსახურის კოლექტივებს კომუნისტებითა და კომკავშირელებით, რომლებიც ხელს უწყობენ დარგის საწარმოებში ორგანიზებულობის, შრომის კულტურის ამაღლებას. პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა დღენიადაგ უნდა იზრუნონ მომსახურების სფეროს მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. საჭიროა მეტი საცხოვრებელი ფართობი, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების მეტი საგზურები, ბავშვებისათვის ბაგა-ბაღებში მეტი ადგილები გამოუყონ მათ.

მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინაშე გამოსვლის დროს ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, რომ ყოველ საქმეში წარმატების საზომად უნდა ჩაითვალოს გაწეული მუშაობის საბოლოო შედეგი. საყოფაცხოვრებო სამსახურის სისტემის საწარმოთა მშრომელებმა უნდა გადაწყვიტონ პარტიის მიერ მათ წინაშე დასახული უმნიშვნელოვანესი ამოცანა — მაქსიმალურად გაათავისუფლონ საბჭოთა ადამიანები საოჯახო საზრუნავისაგან, მეტი დრო დაუზოგონ თვითგანათლებისათვის, ბავშვების აღზრდისათვის, სრულფასოვანი დასვენებისათვის. სწორედ ეს არის დარგის მუშაკთა წვლილი ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში, კომუნისტური მშენებლობის ახალი წარმატებისათვის საერთო-სახალხო ბრძოლაში.

## სკკპ დელეგაციის გამგზავრება

**იტალიის** კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით 29 მარტს იტალიის კომპარტიის XV ყრილობის მუშაობაში მონაწილეობისათვის რომს გაემგზავრა სკკპ დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ა. ი. პელშე.

იმავე დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია რომში ჩავიდა. (საკდესი).

კვარტლის ბოლო დღეა:

## ვინ როგორ შევასრულეთ გეგმები, ვალდებულებები?

### შეკვეთები ვადამდე

„**კასპელექტროაპარატის**" ქარხნის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა დღეისათვის მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით გაუმჯობესებულია ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებელი. განსაკუთრებული წარმატებაა მოპოვებული პროდუქციის საიმედოობის გაზრდის დარგში. კასპელებმა, რომლებიც მრავალი სახეობის აპარატურას აწვდიან ქვეყნის სახალხო მეურნეობას, არაერთხელ დაიმსახურეს მომხმარებელთა მადლობა ოპერატიული მუშაობისათვის. მათ, მაგალითად, მადლობის ბარათი მიიღეს ამას წინათ ლენინგრადისა და ტაშკენტის მეტროპოლიტენების მშენებლებისაგან. ელექტრიკოსების მიერ გამოშვებულმა ზეგეგმითმა პროდუქციამ საშუალება მისცა მეტრომშენებლებს ვადაზე სამი და ოთხი თვით ადრე გადაეცათ საექსპლოატაციოდ ახალი მიწისქვეშა სადგურები.

მართალია, საწარმო გენერალური რეკონსტრუქციის პროცესშია, მაგრამ ეს ხელს როდი უშლის მის კოლექტივს წარმატებით გაართვას თავი სახელმწიფო გეგმებს. ქარხნის განახლებასთან დაკავშირებული ბევრი სამუშაო უკვე დამთავრდა. მწყობრში ჩადგა ახალი საამწყობო საამქრო, სადაც ახლა ყველა პირობაა შექმნილი შემართებული შრომისათვის, მუშათა და სპეციალისტთა შემოქმედებითი აქტიურობის გამოსავლენად. საექსპლოატაციოდ გადაეცა აგრეთვე ახალი საკომპრესორო, დამთავრდა საღებავი საკონვეიერო ხაზისა და ზოგიერთი უნივერსალური დანადგარის დამონტაჟება.

ხუთწლედის მეოთხე წელი არ იქნება იოლი კასპელებისათვის. სარეკონსტრუქციო სამუშაოთა ტემპის დაჩქარებასთან ერთად მათ 40 პროცენტამდე უნდა გაზარდონ პროდუქციის გამოშვება. ქარხნის დირექციამ და პარტიულმა ორგანიზაციამ შეძლეს დაერაზმათ კოლექტივი ამ საპატიო ამოცანის გადასაწყვეტად. ნოვატორთა ინიციატივით აქ შრომითი მეტოქეობა დაიწყო თითოეული კვადრატული მეტრი ფართობიდან მეტი პროდუქციის მისაღებად.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში ელექტრიკოსებს ცუდი შედეგი როდი აქვთ. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ ხუთწლედის დამდეგიდან აქ არცერთი რეკლამაცია არ მოსულა. მიუხედავად ამისა, ამ მხრივ კასპელებს ძალზე ბევრი აქვთ გასაკეთებელი. ხარისხის პირველი კატეგორიით დამზადებულ ნაწარმს საპატიო ხუთკუთხედი უფრო დაამშვენებს.

**შ. ამაშუკელი,**
„კომუნისტის" კორ.

### ტემპს არ შევანელებთ

**სართიჭალელმა** მეცხოველეებმა ორგანიზებულად მოაწყვეს პირუტყვის გამოზამთრება და ზამთარშიც დიდი წველადობა შეინარჩუნეს. ამ საქმეში მათ დიდად დაეხმარა ის, რომ პირუტყვი დროულად იყო უზრუნველყოფილი ყუათიანი საკვებით.

თუმცა წლეულს ფურების რაოდენობამ უმნიშვნელოდ მოიმატა, რძის წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა ბევრად აღემატება შარშანდელი შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლებს. თითოეული ფურის წველადობა 140 კილოგრამით გაიზარდა, შესაბამისად იმატა სახელმწიფოსათვის მიყიდული რძის რაოდენობამ.

პირუტყვის მოვლა-პატრონობაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი და სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ მწველავები: ქ. ქარჩაიძე, დ. იორამაშვილი, მ. ქოქოშვილი, თ. ფაშაევა, ა. მიდელაური, რ. დიანაშვილი, მ. გელაშვილი, ჟ. გამცემლიძე და სხვ.

მათი თავდადებული შრომის შედეგია ის, რომ მეურნეობამ 29 მარტისათვის შეასრულა რძის წარმოების მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა-ვალდებულება და გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს 67 ტონა რძე მიჰყიდეთ.

**ვ. ჩიტიშვილი,**
გარდაბნის რაიონის სართიჭალის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

## ლენინური შაბათობა გვიხმობს

### დარგავენ, გაამწვანებენ

**ლენინური** კომუნისტური შაბათობის მაღალორგანიზებულად მოწყობის მიზნით აქედანვე საქმიან თადარიგს იჭერენ თბილისის საწარმოო გაერთიანება „საქლვინომანქანის" კოლექტივის წევრები.

„წითელ შაბათობაში", რომლის მოწყობის კარგი ტრადიცია აქვთ აქ 1100 მუშა-მოსამსახურე მიიღებს მონაწილეობას.

21 აპრილს უშუალოდ პროდუქციას შექმნის 710 კაცი. ისინი ამ დღეს დაამზადებენ 30 ათასი მანეთის ნაწარმს, და გამომუშავებული ხელფასის ფონდიდან სამი ათას მანეთს მეათე ხუთწლედის ფონდში გადარიცხავენ.

მანქანათმშენებელთა კოლექტივის ოთხასამდე წევრი წესრიგში მოიყვანს სამუშაო უბნებს, შეაგროვებს ჯართს, დარგავს და გაამწვანებს საწარმოო გაერთიანების ტერიტორიას. („კომუნისტის" კორ.).

### ერთსულოვნად

**21 აპრილს** ტყავსაგალანტერიო ფაბრიკის მთელი კოლექტივი ერთსულოვნად გამოვა ლენინურ „წითელ შაბათობაზე" სამუშაოდ.

მოსკოვის მოწინავე სამრეწველო საწარმოთა ინიციატივის პასუხად მათ გადაწყვიტეს ამ დღეს გამოუშვან მხოლოდ უმაღლესი ხარისხის პროდუქცია. გამოშვებული ნაწარმის უმეტეს ნაწილს მეგალანტერეები დაზოგილი ნედლეულით დაამზადებენ.

ოთხასი კაცი შაბათობის აღსანიშნავ შრომით ზეიმზე უშუალოდ პროდუქციას აწარმოებს, რომელიც თხუთმეტი ათასი მანეთის ღირებულების დოვლათს შექმნის. იმ დღეს გამომუშავებული ხელფასიდან ოთხი ათასი მანეთი ხუთწლედის ფონდში ჩაირიცხება.

საწარმოს ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი — სულ 80 კაცი შაბათობის დღეს ტერიტორიის კეთილმოწყობისა და გამწვანების სამუშაოებს შეასრულებს.

### ხუთწლედის ფონდში

**ცხინვალი.** (საკ. კორ.). წითელ შაბათობაზე ერთსულოვნად გამოვლენ ცხინვალის ავტობუსების შემკეთებელი ქარხნის მშრომელები. ყველა უბანი ამ დღეს გამართულად იმუშავებს და გამოუშვებს 3 ათასი მანეთის პროდუქციას. ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება 1000 მანეთი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურ კომისიაში

## წარმატებით დავამთავროთ კვარტალი

**გაიმართა** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის სხდომა, რომელზეც მოისმინეს ინფორმაციები საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით პირველ კვარტალში საქმიანობის შესახებ. ეს ინფორმაციები გააკეთეს ამ მაჩვენებლებისათვის პასუხისმგებელმა პირებმა, რესპუბლიკური კომისიის წევრებმა: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ზ. ჩხეიძემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნ. ჭითანავამ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილების გამგემ შ. ბერიანიძემ, შრომის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ რ. ჯაფარიძემ, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ლ. ხარბედიამ, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ი. ქადიშვილმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნ. სანთელაძემ და სხვებმა.

სხდომის შედეგები შეაჯამა სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. კოლბინმა. (საქინფორმი).

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### მწერალ შ. გ. ნიშნიანიძის (მამაგეიშვილის) შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

**საბჭოთა** ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით მწერალი შოთა გიორგის ძე **ნიშნიანიძე (მამაგეიშვილი)** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1979 წლის 30 მარტი.

**კავკასიონის** მთის კალთებიდან თუ შავი ზღვის სანაპიროდან, თრიალეთის ქედებიდან თუ შირაქის ველებიდან — რესპუბლიკის ყველა ქალაქიდან და რაიონიდან დიდ ახალგაზრდულ ზეიმზე ჩამოვიდნენ დღეს თბილისში ისინი, ვინც თავიანთი ახალგაზრდული გულით, გამრჯე მარჯვენითა და ნათელი გონებით უფროსი თაობის მხარდამხარ იღვწის, ამრავლებს ქვეყნის დოვლათსა და ბარაქას.

ზეიმზე მოვიდნენ ისინი, ვინც განსაკუთრებული ღვაწლი დასდო რესპუბლიკის ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის გაუმჯობესებას, სწორედ იმ დიდსა და საპატიო საქმეს, რისთვისაც დღეს საქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციას საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცემა.

საქართველოს კომკავშირს თავის მოვალეობად დღენიადაგ ის მიაჩნდა, რომ ახალი საზოგადოების მშენებლობის მოწინავე ხაზზე ყოფილიყო, ჭაბუკებისა და ქალიშვილებისათვის ჩამოეყალიბებინა კომუნისტური რწმენა, პარტიის საქმეებისათვის მუდმივი მზადყოფნის სწრაფვა და უნარი.

### ზეიმი რწმენისა და შრომისა

ეს რწმენა, კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის შედეგი კი ასე თვალსაჩინოდ გამოჩნდა მრავალ კომკავშირულ საქმეში. საქართველოს კომკავშირელები ინიციატორები არიან მთელ ქვეყანაში ფართოდ გაშლილი მოძრაობისა — „**ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედს — ახალგაზრდობის შემოქმედება და ენთუზიაზმი!**" 220 ათასზე მეტმა ქალიშვილმა და ჭაბუკმა ვადამდე, ჯერ კიდევ 1 დეკემბრისათვის გაანაღდა გასული წლის გეგმა, 10 ათასზე მეტი ახალგაზრდა მომავალი ხუთწლედის ანგარიშში შრომობს. ნამდვილად ვაჟკაცურად გაისარჯნენ ჩვენი ახალგაზრდები ჩაის პლანტაციებსა და ვენახებში, ციტრუსებისა და ხეხილის ბაღებში, მეცხოველეობის ფერმებში...

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის შესანიშნავი წიგნები „მცირე მიწა", „აღორძინება" და „ყამირი" ჩვენს ახალგაზრდა თაობას ამდიდრებს იმათი გამოცდილებითა და ზნეობრივი სისპეტაკით, ვინც საკუთარი მარჯვენით ქმნიდა და თავისი სიცოცხლით ამკვიდრებდა სამშობლოს ისტორიას. და მეტად სიმბოლურია, რომ დღეს საქართველოს ახალგაზრდობის ზეიმი დროშის გადაცემასთან ერთად ამ შესანიშნავ ნაწარმოებებს ეძღვნება.

## ერთი თვით ადრე

**რესპუბლიკის** ქვანახშირის მრეწველობის ფლაგმანი — ასე უწოდებენ ტყიბულის ვ. ი. ლენინის სახელობის შახტს, სადაც 500-ზე მეტი კომკავშირელი და ახალგაზრდა შრომობს. ეს საპატიო წოდება ნაყოფიერი შრომით მოიპოვა მისმა კოლექტივმა, რომელმაც ხუთწლედის განვლილ სამ წელიწადში რუსთაველ მეტალურგებს ზეგეგმითი საკოქსე ქვანახშირით დატვირთული 94 სარკინიგზო ეშელონი გაუგზავნა.

დამეთანხმებით, მეშახტის პროფესია ერთ-ერთი ყველაზე ვაჟკაცური და რთული პროფესიაა. ძალიან ბევრ სიძნელესთან გვიხდება შეჭიდება მიწის წიაღში, ნაბიჯ-ნაბიჯ მივდივართ გაუკვალავი გზით... თამამად შემიძლია ვთქვა, რომ შახტის ჰორიზონტები თავისებური ყამირია, რომლის გატეხა ზოგჯერ გამოცდილ მეშახტეებსაც უჭირთ.

ამიტომაც ჩემთვის გასაგები იყო ყველა ის სიძნელე, რომლებიც 50-იანი წლების დამდეგს ყაზახეთის სტეპების ათვისებისას წარმატებით დაძლიეს საბჭოთა ადამიანებმა და რომელთა შესახებ შესანიშნავად არის მოთხრობილი ლ. ი. ბრეჟნევის ნაწარმოებში „ყამირი". ეს წიგნი ჩვენთვის, ახალგაზრდებისათვის, ჭეშმარიტად დიდი სკოლაა. იგი გვასწავლის სიძნელეებთან შერკინებას, მეგობრობას, გვინერგავს შრომისა და მშრომელი კაცის პატივისცემას.

დღეს, რესპუბლიკის ახალგაზრდობის შრომის ამ ნათელ ზეიმზე, ჩვენი კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის დანაბარები უნდა მოგახსენოთ: მაღალი ჯილდოს პასუხად ვიმუშავებთ უდიდესი ნაყოფიერებით, გამოვავლენთ და ავამოქმედებთ არსებულ რეზერვებს და ქვანახშირის ამოღების წლიურ დავალებას ვადაზე ერთი თვით ადრე შევასრულებთ.

**ე. ჩაფიძე,**
ტყიბულის ვ. ი. ლენინის სახელობის შახტის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი.

## სინდისიერად, უნარიანად

**ათასობით** ქალიშვილი და ჭაბუკი ნაყოფიერად შრომობს შირაქის მადლიან მიწაზე, მინდვრებსა და ბაღ-ვენახებში, ზვრებში, მეცხოველეობის ფერმებში, ქმნის სახალხო დოვლათს. და მე, ერთ-ერთ მათგანს, მეამაყება, რომ დღევანდელ ნათელ დღესასწაულში მივიღებ მონაწილეობას.

მინდა ზოგი რამ ჩვენს ნაშრომ-ნამაგარზე მოგახსენოთ: კოლმეურნეობის მეღორეობის ბრიგადაში ძირითადად ახალგაზრდები ვართ. იგი ერთ-ერთი მოწინავეა კოლმეურნეობაში. შარშან 971 ცენტნერის ნაცვლად ათას ცენტნერზე მეტი ხორცი ვაწარმოეთ, თითოეულ ნეზვზე 14-ის ნაცვლად 23 გოჭი გამოვზარდეთ. წლევანდელი წელიც ურიგოდ როდი დავიწყეთ — პირველი კვარტალის გეგმით გათვალისწინებული 100 ცენტნერის ნაცვლად 150 ცენტნერი ხორცი ჩავაბარეთ სამშობლოს. ამაში ძალიან დაგვეხმარნენ გამოცდილი მუშაკები ნ. სესიტაშვილი, ო. მენთეშაშვილი, რ. საკაშვილი და სხვები.

ახლა რესპუბლიკის ყველა ქალიშვილმა და ჭაბუკმა ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ მიღწეულის განმტკიცებისათვის, უნდა „ვიმუშაოთ არა მარტო დისციპლინიანად და მუყაითად, არამედ ვიმუშაოთ სინდისიერად, უნარიანად, შედეგიანად, ვიმუშაოთ შნოიანად, რათა სხვებიც პატივს გცემდნენ შენი შრომისათვის და ივითონაც პატივს სცემდე საკუთარ თავს" — სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმული ეს სიტყვები ყოველდღიური სახელმძღვანელოა თითოეული ჩვენგანისათვის.

**გ. ყოჩიაშვილი,**
წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მეღორე მწყემსი.

## ნდობას — გამართლება

**დროშა,** რომელსაც დღეს საზეიმოდ ვიღებთ, უდიდესი ნდობის ნიშანიც არის და ნდობას კი, მოგეხსენებათ, გამართლება უნდა. რას აკეთებენ ამისათვის საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერები და სპეციალისტები, მათი ცენტრი — ახალგაზრდა მეცნიერთა რესპუბლიკური კლუბი?

იგი ამჟამად 1500 წევრს აერთიანებს. განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ მეცნიერების მიღწევების პროპაგანდას. ამ მიზნით კლუბში ხშირად იმართება შეხვედრები სახელმოხვეჭილ საბჭოთა და უცხოელ მეცნიერებთან, დანერგილი გვაქვს „მრგვალი მაგიდის" პრაქტიკა, ეწყობა დისკუსიები, ტარდება სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები. დიდი მუშაობაა გაშლილი მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობასთან.

ჩვენმა კლუბმა ერთმანეთს გააცნო და დააკავშირა სხვადასხვა სპეციალობის ახალგაზრდა მეცნიერები, აამაღლა მათი სოციალური აქტიურობა. კლუბის ინიციატივით შარშანწინ ქუთაისში, ხოლო შარშან ფოთში მოეწყო ახალგაზრდა მეცნიერთა დღეები. კარგად მუშაობს კლუბთან არსებული მართვის ავტომატური სისტემების ლაბორატორია...

ჩვენი დრო ძიებისა და შემოქმედების დროა. ხუთწლედის ამოცანები და დიდი მასშტაბები თითოეულ ჩვენგანს ძალიან ბევრს ავალებს. ამიტომაც ახლა განუზომლად მეტი შრომა, მონდომება, ინიციატივა გვმართებს, უნდა გამოვავლინოთ და საქმის, ხალხის სამსახურში ჩავაყენოთ ყველა რეზერვი. ამ მხრივ ჩვენმა კლუბმა უკვე გადადგა პირველი პრაქტიკული ნაბიჯი — დაახლოებით ერთი თვის წინათ აქ შეიქმნა წარმოების ეკონომიკური ანალიზისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის ლაბორატორია, რომლის წევრები იმუშავებენ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში არსებული რეზერვების გამოვლენისა და მათი დანერგვის საშუალებებზე.

გეგმები მართლაც დიდი გვაქვს, მათი განხორციელების სურვილი — უდიდესი. ეს კი წარმატების მოპოვების ერთ-ერთი საუკეთესო გარანტიაა.

**ა. ვაშაკიძე,**
ახალგაზრდა მეცნიერთა რესპუბლიკური კლუბის ვიცე-პრეზიდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

## ჯილდო დამკვრელური შრომისათვის

**კარგად** იმუშავეს გასულ ზაფხულს საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სტუდენტებისა და სკოლების უფროსკლასელთა შრომითმა დესანტებმა. კეთილი კვალი დატოვეს მათ როგორც რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, ასევე ჩვენი ქალაქებისა და სოფლების კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობაზე, აგრეთვე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ჩაის, დაფნის, ხილისა და ბოსტნეულის მოსავლის აღების, საკვების დამზადების დროს.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებებისათვის რესპუბლიკის სტუდენტებისა და უფროსკლასელების საუკეთესო სახაზო რაზმები დაჯილდოებულია საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით, რომლებიც მიენიჭა სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის, სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის, თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის, ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმის სტუდენტთა სამშენებლო რაზმებს, თბილისის № 4 საშუალო სკოლის შრომისა და დასვენების ბანაკს, ქუთაისის № 10 საშუალო სკოლის უფროსკლასელთა შრომით რაზმს, ხელვაჩაურის რაიონის თხილნარის საშუალო სკოლის საწარმოო ბრიგადას. (საქინფორმი).



**სურათზე:** ახალგაზრდული ზეიმის მონაწილეთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან): საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტი მ. მიქელაშვილი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადის თანაშემწე ზ. ძნელაძე, მახარაძის რაიონის სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობის მეჩაიე ც. თალაკვაძე, თბილისის № 6 საშუალო სკოლის მოსწავლე მ. ბერიძე, თბილისის № 31 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე ვ. ბანცაძე, თბილისის უმაღლესი სამეთაურო საარტილერიო სასწავლებლის კურსანტი ო. ზემსკოვი, თბილისის № 15 სამშენებლო ტრესტის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი ტ. ქართველიშვილი, უცხო ენების ინსტიტუტის პირველკურსელი ნ. ჩხატარაშვილი, თბილისის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური სასწავლებლის მოსწავლე ნ. სამყურაშვილი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის V კურსის სტუდენტი მ. ლომიძე.

**ვლ. გინზბურგის** ფოტო.

## საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

# ზერელე დაგეგმვა, წამატება

**სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილებამ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტთან და მის ორგანოებთან ერთად შეამოწმა ავტომობილების გამოყენების გაუმჯობესებისა და საწვავის დაზოგვის ღონისძიებათა შესრულება აფხაზეთის ასსრ, ქუთაისისა და თბილისის სატვირთო ავტოტრანსპორტის საწარმოო გაერთიანებათა და გაერთიანება „ტრანსვაჭრობის" 11 საწარმოში.**

**შემოწმებამ** გვიჩვენა, რომ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის დადგენილებათა შესაბამისად, რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ ძირითადად აღმოფხვრა ნაკლოვანებანი. სამინისტროში, აგრეთვე ავტოსატრანსპორტო გაერთიანებებსა და საწარმოებში შექმნილია ჯგუფები, რომლებიც სისტემატურ კონტროლს უწევენ ავტომობილების მუშაობის აღრიცხვასა და საგზაო ფურცლების გაფორმებას, თითქმის ყველა ავტომობილზე გამართული და დაპლომბილია სპიდომეტრი, გაიზარდა სამინისტროს მუშაკთა მიერ ჩატარებული რევიზიებისა და შემოწმებათა რიცხვი, განხორციელდა ღონისძიებანი ბენზინის გასაწყობი სადგურებისა და რეზერვუარების გაუმართაობის აღმოფხვრისათვის და ა. შ.

ამასთან ისიც გამოირკვა, რომ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო უხეშად არღვევს რა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებულ ტვირთის გადაზიდვის წლიური და კვარტალური დაგეგმვის ძირითად დებულებებს, წლების მანძილზე არ უზრუნველყოფს ცალკეული სამინისტროების და მათი საწარმოების მიხედვით ტვირთზიდვის დასაბუთებული გეგმის შედგენას და შესრულებას.

დაგეგმვის წესის დარღვევა სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში მნიშვნელოვან სიძნელეებსაც ქმნის, საწარმოო გაერთიანების უმრავლესობა ვერ ასრულებს საწარმოო გეგმებს, ამიტომ სატვირთო ავტოტრანსპორტის თბილისის საწარმოო გაერთიანების რვა საწარმოდან შარშან პრემირებული იყო მხოლოდ სამი. ასეთივე მდგომარეობაა სამინისტროს ბევრ სხვა გაერთიანებაში. მატერიალური წახალისების ფონდი შარშან გამოყენებული იყო მხოლოდ 80 პროცენტით.

გეგმის ხშირი ცვლილების შედეგად საწარმოო გაერთიანებები ვერ უზრუნველყოფენ ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების შესრულებას. 22 გაერთიანებიდან შარშან უტვირთო გარბენების შემცირების დავალება ვერ შეასრულა 16-მა, ხოლო ტვირთამწეობის გამოყენებისა 12-მა გაერთიანებამ.

ავტოსატრანსპორტო საწარმოებში სუსტად ინერგება ცენტრალიზებული, საკონტეინერო გადაზიდვა, ტვირთების გადაზიდვა რაციონალური მარშრუტებით, მუშაობა ბრიგადული მეთოდით.

დაგეგმვის ნაკლოვანებანი იწვევს ტვირთის გამგზავნებთან მრავალრიცხოვან კონფლიქტს, რომლებსაც არბიტრაჟში იხილავენ. მარტო თბილისის საწარმოო გაერთიანებამ არბიტრაჟის საშუალებით ტვირთების არადროულად წარმოდგენისათვის ტვირთის გამგზავნ 51 ორგანიზაციას 100 ათასი მანეთი ჯარიმა დააკისრა.

ამავე სამინისტრომ არ განახორციელა სათანადო ღონისძიებანი საწვავის დაზოგვის თაობაზე სადირექტივო ორგანოთა მითითებების შესასრულებლად. მაგალითად, შარშან არ შესრულებულა საწვავის ხარჯვის 3 პროცენტით შემცირების დავალება. აქ ბენზინის ხარჯვის ხვედრითი ნორმები 0,3 პროცენტით გაზარდეს, დიზელის საწვავისა — კი 3,3 პროცენტით. სამ საწარმოო გაერთიანებაში ბენზინის გადახარჯვა 10 პროცენტს აღემატება.

თბილისის გაერთიანების № 9 ავტოსატრანსპორტო საწარმოში წლეულს ბენზინის ხარჯვის ხვედრითი ნორმა გადამეტებულია 4 პროცენტით, ხოლო № 2651 ავტოკოლონაში — 1,1 პროცენტით, „ტრანსვაჭრობის" ავტოსაწარმოში — 3,1 პროცენტით.

მართალია, სამინისტრო ეწევა საწვავის ეკონომიას — დაზოგილია 8,8 ათასი ტონა ბენზინი, მაგრამ ეს ეკონომია ნაწილობრივ მიღებულია ნორმების მცდარად გამოყენებისა და ცალკეულ შემთხვევებში შეუსრულებელი გადაზიდვის წამატებათა ხარჯზე. ანალიზმა ცხადყო, რომ თითქმის ყველა ავტოსაწარმოში ხდება საწვავის გადახარჯვა. მაგალითად, ქუთაისის საწარმოო გაერთიანების № 2653 ავტოკოლონაში გადახარჯვა დაუშვა მძღოლების დაახლოებით 33 პროცენტმა, ხოლო ამ გაერთიანების № 2 ავტოსატრანსპორტო საწარმოში — 45 პროცენტმა.

ასეთი მდგომარეობა შეიქმნა იმის შედეგად, რომ სამინისტროსთან, აგრეთვე ყველა გაერთიანებასა და ავტოსაწარმოში შექმნილი საწვავის ეკონომიის კომისიები ჯეროვნად არ ასრულებდნენ დაკისრებულ ფუნქციებს.

უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტრომ არ დააწესა საექსპლოატაციო სამსახურის მუშაკთა პასუხისმგებლობა ხარჯვის ხვედრითი ნორმების შესრულებისათვის და ტექნიკური სამსახურების მუშაკთა პასუხისმგებლობა — საბაზო ნორმების შესრულებისათვის, როგორც ეს სხვა მოკავშირე რესპუბლიკების საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებშია. ამიტომ ბევრ საწარმოში სათანადოდ არ იბრძვიან უტვირთო გარბენების შემცირებისათვის, მისაბმელებით ტვირთზიდვის გადიდებისათვის, აგრეთვე ავტომობილების ტექნიკური გამართულობის ამაღლებისათვის, საწვავის ხარჯვის საზომი აპარატურის, ელექტრომოწყობილობისა და სხვა აგრეგატების რეგულირებისათვის.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო ვერ ასრულებს ტვირთზიდვის ხუთწლიან გეგმას. ხუთწლედის სამ წელიწადში სამინისტროს არ მიაწოდეს დაგეგმილი სატვირთო ავტომობილების 15 პროცენტი. იმის გამო, რომ გაიზარდა მრეწველობის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპები, სამინისტროს ესაჭიროება ავტომობილების და საწარმოო ბაზის განვითარებისათვის დამატებითი კაპიტალდაბანდებანი.

შემოწმების შედეგები საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტთან ერთად განხილული იყო სამინისტროს, გაერთიანებებისა და საწარმოების ხელმძღვანელებთან და მოხსენდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

## მასების კონტროლი

## ხალხის ფხიზელი თვალი

## გვერდი № 145

### სახალხო კონტროლიორები

**თბილისის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი მიმდინარე წლის პირველი დღეებიდანვე დამკვრელურად შრომობს და საწარმომ უკვე ათასობით მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა. აქაური სახალხო კონტროლიორები ენერგიულად მონაწილეობენ წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და წუნდებული პროდუქციის გამოშვების აღმოფხვრისათვის ბრძოლაში.**



**სურათზე** — სახალხო კონტროლიორთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან): თ. დევრიშაშვილი, ე. თედიაშვილი, მ. ზარიძე და ნ. ველიძე ამოწმებენ ახალი პროდუქციის ხარისხს.

ბ. გოგოხიას ფოტო.

### ვაჭრობა, მომხმარებელი, კონტროლი

# არცოდნა ყოველთვის არცოდვა როდია

## წესრიგი ყველგან და ყველაფერში

**სადღეისო** მოთხოვნათა მიხედვით მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ამ ბოლო წლების მანძილზე რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა. გაუმჯობესდა მომსახურების ორგანიზაცია, ამაღლდა ვაჭრობის კულტურა, ობიექტებში მოვიდნენ ადამიანები, რომელთაც სათანადო ცოდნა და უნარი აქვთ.

იმ მიზნით, რომ განვახორციელოთ პარტიისა და მთავრობის მითითებები, რომელთა მიზანია მომსახურების სფეროს საქმიანობის რადიკალური გარდაქმნა, რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოები ეფექტიან ღონისძიებებს ახორციელებენ და სისტემატურად ამოწმებენ დავალებათა შესრულების მდგომარეობას.

მაგალითად, შარშან მაისში რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტმა ორ ეტაპად მოაწყო მომსახურების სფეროში სათანადო წესრიგის დამყარების თაობაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის დადგენილებათა შესრულების შემოწმება, რომელმაც სავაჭრო ორგანიზაციების 40 პროცენტი მოიცვა. სახალხო კონტროლიორებთან ერთად მასში მონაწილეობდნენ „კომკავშირული პროჟექტორის" წარმომადგენლები და სპეციალისტები — სულ 2600-მდე კაცი. შემოწმების შედეგების მიხედვით დაისაჯა 700-მდე თანამდებობის პირი.

სამიოდე თვის წინათ რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ინიციატივით მოეწყო ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროების, აგრეთვე ცეკავშირის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ აღნიშნული სამინისტროების, ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მომსახურების სფეროს ხელმძღვანელი მუშაკები, სახალხო კონტროლის კომიტეტების ვაჭრობის შტატგარეშე განყოფილებათა გამგეები, ჯგუფების თავმჯდომარეები, „კომკავშირული პროჟექტორის" წევრები. აქ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შემოწმების აქტების ერთიანი ნიმუშის შემოღების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების შესრულების მნიშვნელობას, მათ განხორციელებას.

კონტროლის რესპუბლიკური კომიტეტის დარგობრივი განყოფილებები, ჩვეულებრივ, სისტემატურად ისმენენ საქალაქო და რაიონული კომიტეტების ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების შტატგარეშე განყოფილებათა ანგარიშებს.

უკანასკნელ ხანს მრავალი ღონისძიება განხორციელდა იმისთვის, რომ მომსახურების სფეროს ობიექტების შემოწმების ორგანიზაციაში დამყარდეს სრული სახელმწიფო წესრიგი, დამკვიდრდეს შემოწმების ერთიანი სისტემა, შეიქმნას ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის ეფექტიანი ფორმები. ამ მხრივ გარკვეული წარმატებანი გვაქვს, მაგრამ შემოწმების შედეგები იმაზეც მეტყველებს, რომ ამ საქმეს ყველგან ერთნაირი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან და ვხვდებით უხეში დარღვევების და უპასუხისმგებლობის ფაქტებს.

ამ რამდენიმე ხნის წინათ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა თბილისის ლენინის რაიონის „თბილისმრეწვავაჭრობასა" და „კვებვაჭრობაში" შეამოწმა ზემდგომი ორგანოების დადგენილებათა შესრულების მდგომარეობა. აქ გამოვლინდა ხელმძღვანელების სრული უპასუხისმგებლობა და დაუდევრობა, არ იყენებდნენ აქტების დადგენილ ნიმუშებს, საკონტროლო ჟურნალში არ წერდნენ შედეგებს, აღრიცხვაში აღმოჩნდა წამატებები.

ბევრგან სათანადო ბრძოლა არ მიმდინარეობს მომსახურების სფეროში არსებულ ნეგატიურ მოვლენათა აღმოსაფხვრელად. ზოგიერთ ხელმძღვანელ მუშაკს გამოუმუშავდა ნაკლოვანებებისადმი შეგუების გრძნობა, უპასუხისმგებლოდ ეკიდება ამ მნიშვნელოვან საქმეს. ამის შედეგია ის, რომ მათ მიერ განხორციელებული ღონისძიებანი ნაკლებ ეფექტიანია, სასურველ შედეგს არ იძლევა.

ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველომ (უფროსი — ზ. ქორიძე) 178 ობიექტში ისე მოაწყო შემოწმება, რომ ერთი აქტიც არ შეუდგენია. ცხადია, ეს შემოწმების ახალი ფორმების უცოდინარობით და გულმავიწყობით არავის მოსვლია. ნაკლოვანებებს ხელს უწყობს ისიც, რომ ზოგიერთ ობიექტში არ არის წინადადებებისა და საჩივრების წიგნები და საკონტროლო ჟურნალები, რომელთა შეძენა დიდ სიძნელეებთან არ არის დაკავშირებული. ბევრი დარღვევა გამოვლინდა ჩხოროწყუს რაიკოოპერატივის ობიექტებში (თავმჯდომარე — ვ. ხარებავა), სადაც შემოწმების პროცესში 35 ობიექტში არ იყო საჩივრებისა და წინადადებების წიგნი, ხოლო 31 ობიექტში — საკონტროლო ჟურნალი.

გამოირკვა ისიც, რომ სახელმწიფო ვაჭრობის 275, საყოფაცხოვრებო მომსახურების 294 და ცეკავშირის 287 ობიექტის შემოწმების შედეგებზე შედგენილი არ იყო აქტები, ხოლო საკონტროლო ჟურნალებში შემოწმების შედეგები არ აღმოჩნდა ჩაწერილი შესაბამისად 117, 246 და 419 ობიექტში. ეს ფაქტები იმაზე მეტყველებს, რომ ზოგიერთი რევიზორი ჯერ კიდევ საკუთარი მეთოდებით მუშაობს და უმართებულოდ იყენებს უფლებებს.

სახალხო კონტროლის ჯგუფები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებას, სათავეში ჩაუდგნენ ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლას, ზოგიერთი მათგანი ნებსით თუ უნებლიეთ თვითონ გამოდის სახელმწიფო დისციპლინის დამრღვევის როლში, არ იცავს ელემენტარულ მოთხოვნებს, ჩრდილს აყენებს კონტროლიორთა საერთო საქმიანობას.

ამას წინათ გარდაბნის რაიონის ტაბახმელის სასოფლო საბჭოსთან არსებული სახალხო კონტროლის ჯგუფმა ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციის დავალებით შეამოწმა რესტორან „ტაბახმელაში" ვაჭრობის წესების დაცვის მდგომარეობა. შემოწმების დოკუმენტში აღინიშნა მხოლოდ რესტორნის დადებითი მუშაობა, რასაც სინამდვილესთან არაფერი აქვს საერთო. უფრო მეტიც, შემმოწმებლები ვერ ერკვეოდნენ საზოგადოებრივი კვების ობიექტების შემოწმების ელემენტარულ საკითხებში, შემოწმების შედეგები გაფორმდა არა დაკანონებული სპეციალური აქტების ბლანკებზე, არამედ უბრალო ქაღალდებზე, არავითარი ჩანაწერი არ გაუკეთებიათ საკონტროლო ჟურნალში და სხვა.

რას შეიძლება მიეწეროს სახალხო კონტროლის ჯგუფის მიერ მოწყობილი შემოწმების მცდარი დასკვნა? უდავოა, შემმოწმებელთა მომზადების დაბალ დონეს, უცოდინარობას. აქ შემოწმების დაწყებამდე კონტროლიორთა მომზადებაზე არავის არ უფიქრია, უფრო მეტიც, მათ დროებითი მოწმობები და ობიექტების შემოწმების კითხვარებიც კი არ ჰქონდათ. რით ხელმძღვანელობდნენ შემმოწმებლები? იქნება ხალხური თქმულებით, რომ არცოდნა არცოდვაა, მაგრამ ყოველთვის ასე როდია, ამგვარი არცოდნა ცოდვაც არის და დიდი დანაშაულიც. ცხადია, ეს ნაკლოვანებები იმის მიზეზია, რომ გარდაბნის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტი და მისი ვაჭრობის შტატგარეშე განყოფილება ამ საკითხებს სათანადო ყურადღებას არ უთმობენ.

ეს მაგალითი გამონაკლისი არ არის. ჩვენი ვალია ყოველმხრივ გავაუმჯობესოთ მუშაობა, მკაცრი კონტროლი დავუწესოთ მომსახურების სფეროს საქმიანობას, რათა განუხრელად ხორციელდებოდეს პარტიისა და მთავრობის დადგენილებანი.

**ო. ძნელაძე,**
**ვ. უაჟეიშვილი,**
საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის ინსპექტორები.

### „კომუნისტის" კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

□

## ახალი გრაფიკით

**თბილისის** საქალაქო ტრანსპორტის მუშაობის ნაკლოვანებებს ეხებოდა კარიკატურა, რომელიც ჩვენი გაზეთის სპეციალურ გვერდში „ხალხის ფხიზელი თვალი" დაიბეჭდა. ამის გამო თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ნეფედოვი გვწერს:

**ქალაქის მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით თბილისის სატრანსპორტო გაერთიანებამ მნიშვნელოვანი ღონისძიებანი დასახა და ახორციელებს კიდეც. კერძოდ, წელს იანვრიდან საქალაქო ტრანსპორტი მუშაობს მოძრაობის ახალი გრაფიკებით, რომელთა შედგენის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო, როგორც დილის და საღამოს პიკის, ასევე ღამის საათებში საქალაქო ტრანსპორტის მუშაობას. იმისათვის, რომ დავიცვათ გრაფიკები და არ მოხდეს რეისების ჩაშლა, საწყის და საბოლოო პუნქტებთან ტრანსპორტის დაგროვების შემთხვევები, ქალაქში არსებულ ყველა სადისპეტჩერო ჯიხურებთან და თითოეულ საქალაქო მარშრუტებზე მორიგეობენ გაერთიანების პასუხისმგებელი მუშაკები, ისინი კონტროლს უწევენ როგორც ხაზის დისპეტჩერების, ისე საქალაქო ტრანსპორტის მუშაობას.**

### გამოკვლევა

# აქტივი თუ აქტიურობს

### ეფექტი: ადამიანებთან უშუალო კონტაქტი

**აქტიური** ცხოვრებისეული პოზიცია, დღევანდელობისათვის უცხო მოვლენების გამოაშკარავება, ბრძოლა სახელმწიფო დისციპლინის დაცვისათვის, მფლანგველობის, კუთხურობის, ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ სახალხო კონტროლიორთა კონსტიტუციური მოთხოვნაა. ამ დიდი მისიის შესრულება წარმოუდგენელია, თუ შექმნილი არ არის მასობრიობის, საჯაროობისა და შეურიგებლობის ატმოსფერო.

ზესტაფონის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტი მთელ თავის მუშაობას სწორედ ამ მიმართულებით წარმართავს. პირველყოვლისა მასობრიობის შესახებ: რაიონულ კომიტეტთან შექმნილია 7 შტატგარეშე განყოფილება და იურიდიული ჯგუფი, რომლებშიც გაერთიანებულია 70 ინსპექტორი. საორგანიზაციო განყოფილებასთან მოქმედებს საინფორმაციო მეთოდიკური და საჯაროობის სექტორი. თითქმის ყველა წარმოება-დაწესებულებაში თვალსაჩინო ადგილზეა მოწყობილი სახალხო კონტროლის სტენდები, ხოლო 21 ბიბლიოთეკაში მეთოდიკური კუთხეები.

აქტივის სწავლების მიზნით რაიონულ კომიტეტთან მოქმედებს ჯგუფების თავმჯდომარეთა და საგუშაგოთა ხელმძღვანელების ერთწლიანი სკოლა, შექმნილია მეთოდიკური კაბინეტი და საბჭო, ეწყობა თეორიულ-პრაქტიკული კონფერენციები და სხვა მასობრივი ღონისძიებები.

საჯაროობის ერთ-ერთი საუკეთესო ფორმაა რაიონულ გაზეთ „ლენინელში" სპეციალური გვერდების გამოქვეყნება, ვაწყობთ ადგილობრივ რადიოგადაცემებს, ვიყენებთ ძირეულ პრესას და ვუშვებთ სატირულ ფურცლებს. ყოველივე ეს ხელს უწყობს მშრომელთა შორის ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის ატმოსფეროს შექმნას და ისინიც სახალხო კონტროლიორთა მხარდამხარ დგებიან უდისციპლინობის, უყაირათობის, გულგრილობის, უსაქმურობის, დარღვევა-დამახინჯებათა წინააღმდეგ საბრძოლველად.

კონტროლის მასობრიობის და ყოვლისმომცველობის მიზნით შედგენილი გვაქვს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების კომისიებთან, შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებასთან და კომკავშირულ პროჟექტორთან ერთობლივი მუშაობის გეგმები. საკითხების მომზადება, განხილვა და ცალკეული რეიდები ეწყობა მათთან ერთად, რამაც აამაღლა მუშაობის ეფექტიანობა.

მოვიყვან რამდენიმე ფაქტს. დასახელებული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად შემოწმებულ იქნა რაიონის სასკოლო ბუფეტებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ბავშვთა კვების ორგანიზაცია. გამოვლენილმა დარღვევებმა და ანტისანიტარიულმა მდგომარეობამ შეშფოთება გამოიწვია. ადმინისტრაციული სასჯელი დაედო ოთხ თანამდებობის პირს, მაგრამ ეს მთავარი როდი იყო, მიღებული ღონისძიებების შედეგად ბავშვთა კვების საქმე არსებითად გარდაიქმნა და სწორედ ეს მიგვაჩნია მიზნის მიღწევად.

შესწავლილ იქნა რაიონის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო ობიექტებში საჩივრის წიგნების, საკონტროლო ჟურნალების წარმოება და სავაჭრო წესების დაცვა. სხვადასხვაგვარი დარღვევა გამოვლინდა 16 ობიექტში. შედეგები განიხილა პარტიის რაიკომთან არსებული ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კომისიამ და კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა. საკადრისად დაისაჯა სამი თანამდებობის და ოთხი მატერიალურად პასუხისმგებელი პირი.

სამწუხაროა, მაგრამ მასობრივი კონტროლის, ფაქტებისადმი პრინციპული მიდგომის მიუხედავად, ზოგიერთ გადაგვარებულ მუშაკზე ზემოქმედების ძალა მაინც არ დგას სათანადო სიმაღლეზე.

სოფელ მეორე სვირის № 20 მაღაზიის გამგე დ. კვანტიძე 500 კოლოფი სიგარეტის გადამალვისთვის და ვაქევის პურის საცხობის გამგე მ. თურმანიძე უხარისხო პურის გამოცხობის, ანტისანიტარიისათვის კომიტეტის დადგენილებით გადაყენებული არიან თანამდებობიდან, კონტროლიორთა მოკვლეული მასალების საფუძველზე რაიკოოპერატივის გამგეობამ სამუშაოდან გაათავისუფლა 4 მუშაკი.

ნაკლოვანებანი ძალზე დიდია ქალაქვაჭრობის სარევიზიო ჯგუფის მუშაობაში. რევიზორ-ინვენტარიზატორები და პირადად საზკვების უფროსი ე. ხუტაშვილი ინტერესს არ იჩენენ დარღვევა-დამახინჯებათა გამოსავლენად. ამას წინათ მოწყობილი შემოწმების შედეგად № 1 სამწვადეში 19 კილოგრამი უფაქტურო ხორცი აღმოჩნდა. სამწვადის უფროსი მზარეული ა. ცნობილაძე და რესტორან „საქარის" მებუფეტე თ. ქათამაძე საქონელბრუნვის გეგმის შეუსრულებლობისათვის გაათავისუფლეს სამუშაოდან, ხოლო სამწვადის გამგე მ. პაქსაშვილი გადააყენეს თანამდებობიდან. მისი საქმე შემდგომი ძიებისათვის გადაეცა პროკურატურას.

მრავალი ასეთი ფაქტი შეიძლება მოვიყვანოთ. დარღვევა-დამახინჯებათა გამოვლენას მივაღწიეთ მშრომელთა კოლექტივებთან უშუალო კონტაქტის დამყარებით. პრაქტიკაში შემოვიღეთ წარმოება-დაწესებულებებში მთხოვნელთა მიღება. ამ ღონისძიების შედეგად უფრო გულახდილი გახდნენ ადამიანები და დაუფარავად ამხელენ ნაკლოვანებებს. ასეთი მიღება მოეწყო 3 საწარმოში, 1 საბჭოთა მეურნეობაში და 2 კოლმეურნეობაში. მშრომელთა მიერ წამოყენებული 29 საკითხიდან 13 ეხებოდა სავაჭრო, კომუნალურ და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას, აგრეთვე მთელ რიგ სხვა პრობლემებს.

მშრომელთა მიღების დროს დაყენებული საკითხების უმრავლესობა პრაქტიკულად წყდება. სამკერვალო ფაბრიკაში ქალებმა მოითხოვეს ადგილობრივი რადიოკვანძის მოწყობა, სასამსახურო ავტობუსის დამატებით გამოყოფა და გამოთქვეს საოჯახო ავეჯის შეძენის სურვილი. შესაბამის ორგანიზაციებთან საკითხის დაყენებით კონტროლის კომიტეტმა უზრუნველყო მათი მოგვარება.

კონტროლის კომიტეტის უშუალო ჩარევის შედეგად გაუმჯობესდა ძირულის ცეცხლგამძლე ნაწარმის ქარხანა „შროშის" მშრომელთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები, შეკეთდა მუშათა სასადილო, უზრუნველყოფილია მისი ფართო ასორტიმენტის პროდუქტებით მომარაგება.

სახალხო კონტროლის უფლებანი, მოვალეობანი და ასპარეზი ძალზე ვრცელია. დაკისრებული საპატიო მისიის შესრულება მოითხოვს მუშაობის მრავალფეროვანი ფორმებისა და მეთოდების გამოყენებას. ამ თვალსაზრისით უნდა ეწყობოდეს მუშაობის მოწინავე მეთოდების პროპაგანდა, რაც დიდად შეგვიწყობს ხელს მომავალ საქმიანობაში.

**ლ. გველესიანი,**
ზესტაფონის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე.

### კარიკატურისტის კომენტარი




**ქალაქისა და სოფლის საავადმყოფოებში, პოლიკლინიკებში, ამბულატორიებში, საქარხნო ჯანპუნქტებში, აფთიაქებში შემოწმებისას კვლავ გამოვლინდა ნაკლოვანებები სამედიცინო მომსახურებაში, ავადმყოფებისადმი უყურადღებო, დაუდევარი დამოკიდებულების ფაქტები, საექიმო ეთიკის დარღვევები. გაზეთებიდან.**

ფიცი გვწამს...

გ. ლომიძის ნახატი.

# ერთობლივი მოქმედებით

### რევიზორები ვერ ამჩნევდნენ?

**საქართველოს** სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტი არსებითს მნიშვნელობას ანიჭებს საქალაქო და რაიონული კომიტეტების მუშაკებთან ერთად რთული საკითხების შემოწმების ორგანიზაციას. ამისათვის კომიტეტი ადგილებზე ხშირად გზავნის გამოცდილ მუშაკებს, ავლენს დანაშაულობებს.

შარშან ამიერკავკასიის რკინიგზის მუშათა მომარაგების სამმართველოს თბილისის განყოფილების ხაშურის ფილიალში დანაშაულებრივი ფაქტების გამო საგანგაშო სიგნალი მოვიდა... მდგომარეობის შესამოწმებლად რესპუბლიკურმა კომიტეტმა სასწრაფოდ მიმავლინა ადგილზე.

რაიონის კონტროლის კომიტეტის მუშაკებთან ერთად ვესაუბრეთ რკინიგზის უწყების საწარმო-დაწესებულებათა თანამშრომლებს, სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრებსა და აქტივისტებს, რომლებმაც გულისტკივილით აღნიშნეს, რომ რკინიგზელთა სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით შექმნილმა ამიერკავკასიის რკინიგზის მუშათა მომარაგების სამმართველოს ხაშურის ფილიალმა (უფროსი — ნ. ჩერქეზიშვილი, უფროსი ბუღალტერი — გ. კაპანაძე) და მისმა საწარმოებმა უკანასკნელ წლებში გააუარესეს მუშაობა. აქ უხეშად ირღვევა ვაჭრობის წესები, ვხვდებით სპეკულაციის, სოციალისტური საკუთრების დატაცების ფაქტებს, არ ვლინდება დარღვევები, დამნაშავე პირები დაუსჯელნი რჩებიან.

დარღვევები სააშკარაოზე იქნა გამოტანილი. სწრაფსარეალიზაციო სასურსათო და სამრეწველო საქონელი რკინიგზის უწყების საწარმოებთან არსებული მაღაზიების ნაცვლად უკანონოდ შეჰქონდათ ხაშურისა და სურამის სხვადასხვა უბნებში უმართებულოდ გახსნილ მაღაზიებში, საიდანაც ადვილი იყო საქონლის რეალიზაცია პირადი გამორჩენით.

აქ დანერგილი იყო ვაჭრობის „ახალი, ხაშურ-სურამული მეთოდები", რაც იმას ნიშნავს, რომ ამ საქმისათვის საგულდაგულოდ „შერჩეული" დაბა სურამის № 52, ქალაქ ხაშურის № 146 და ზოგიერთი სხვა მაღაზია გაზრდილი მოთხოვნილების საქონელს დიდი ოდენობით პირდაპირ იღებდნენ მომწოდებლებისაგან მაშინაც კი, როცა ეს აუცილებელი არ იყო. საკუთარი მეთოდით საქონლის გაყიდვისა და ანგარიშის გასწორების შემდეგ, აფორმებდნენ ფიქტიურ საბუთებს საქონლის სხვა ობიექტებისათვის გადაცემის შესახებ.

ასე მოხდა ფილიალის № 142 მაღაზიაში „საქგალანტერეის" ბაზიდან მიღებული 3 ათას მანეთზე მეტი ღირებულების ქალის იმპორტული ხელჩანთების და № 146 მაღაზიაში 8 ათასი მანეთის იმპორტული ფაიფურის ჭურჭლის რეალიზაცია.

შარშან, 28 სექტემბერს ფილიალის საწყობში გაფორმებული იყო ფიქტიური საბუთი სადგურ ხარაგაულის მაღაზიაში 35 წყვილი ქალის იმპორტული ჩექმის შეტანისა და გაყიდვის შესახებ. ფაქტიურად აღნიშნული საქონელი ხაშურში გაიყიდა, ხოლო ხარაგაულის მაღაზიის გამგე-გამყიდველს ნ. ბერაძეს ფეხსაცმლის ღირებულება 2.622 მანეთი ხაშურში ჩააბარეს.

ჩაშლილი აღმოჩნდა საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგება, ხდებოდა საბუღალტრო საბუთების გადასწორება და შეცვლა, უკანა თარიღებით გაფორმებისა და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მცდარი ინვენტარიზაციის მოწყობის გზით სოციალისტური საკუთრების გაფლანგვა-დანაკლისების მიჩქმალვა და დამნაშავე პირთა მფარველობა. ამას შვრებოდნენ ფილიალის უფროსი ბუღალტერი გ. კაპანაძე და აღრიცხვის სამსახურის სხვა მუშაკები.

შემოწმების პროცესში ფილიალის № 142 და 154 მაღაზიებში გამართული სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა დიდი ოდენობის სოციალისტური საკუთრების გაფლანგვა. მაგალითად, ფილიალის № 154 მაღაზიაში ამიერკავკასიის რკინიგზის მუშათა მომარაგების სამმართველოს თბილისის განყოფილების მიერ ჯერ კიდევ 1976 წლის ნოემბერში მოწყობილი სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის დროს გამოვლინდა საქონლის დანაკლისი — 4 ათას მანეთზე მეტი, მაგრამ მაღაზიის გამგის ბ. ვადაჭკორიას მიმართ ზომები მიღებული არ ყოფილა, დანაკლისი მიჩქმალეს. ასევე მოხდა მომდევნო წლებშიც. ასეთივე მდგომარეობა აღმოჩნდა № 142 მაღაზიაშიც. ფასეულობათა დანაკლისმა № 154 მაღაზიაში შეადგინა 18 ათასი მანეთი, № 142 მაღაზიაში — 16 ათას მანეთზე მეტი.

შარშან ივნის-ივლისში ხაშურის ფილიალში მოეწყო საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტური რევიზია, რომელშიც მონაწილეობდა განყოფილების 12 პასუხისმგებელი მუშაკი, მათ შორის რევიზორები შ. ჩუბინიძე და გ. ჯიქია, რომლებმაც ეს სამუშაო უპასუხისმგებლოდ, წესების უხეში დარღვევით შეასრულეს და ბოროტმოქმედებაც მიჩქმალული აღმოჩნდა.

რკინიგზის მუშათა მომარაგების თბილისის განყოფილებაში (მთავარი ბუღალტერი — კ. ოგანეზოვი) 3 განკარგულება იყო გაფორმებული ხაშურის ფილიალის № 142 მაღაზიაში სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მოულოდნელი ინვენტარიზაციის მოწყობის შესახებ, მაგრამ რატომღაც დროს გადაავადეს. ასეთი „მოულოდნელი" ინვენტარიზაციის საშუალებით მაღაზიის გამგემ შენგელიამ მოახერხა „წესრიგში" მოეყვანა საქმეები, ხოლო რევიზორებმა „ვერ" შენიშნეს დანაკლისის მიჩქმალვის ფაქტები.

შემოწმების შედეგები განიხილა ხაშურის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტმა, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ და მისმა მუშათა მომარაგების სამმართველომ. მართალია, დამნაშავე პირები მკაცრად დაისაჯნენ, მაგრამ აქ მაინც წერტილს ვერ დავსვამთ.

სად იყვნენ რაიონისა და რკინიგზის უწყების ადმინისტრაციული ორგანოები? რას აკეთებდნენ ფილიალის სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრები, ამიერკავკასიის რკინიგზის მუშათა მომარაგების სამმართველოს (უფროსის მოვალეობის შემსრულებელი — თ. გიორგაძე) და მისი თბილისის განყოფილების (უფროსი — ა. მალაკელიძე) მესვეურები? რად არ მიიღეს დროული ზომები დანაშაულის აღსაკვეთად?

**ა. ლომიძე,**
რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტი.

## ჩ უ ლ ი თ ნათქვამი



### ასეც ხდება

**ახლა ის მინდა გიამბოთ,**
**რაც ქიმწმენდაში მოხდა:**
**შარვალი გავაწმენდინე**
**მშვენიერი და კოხტა.**
**არ დაუკლიათ საქმისთვის**
**მონდომება და გარჯა —**
**ჰოდა, იმსიგრძე შარვლიდან**
**ჭრელი შორტილა დარჩა.**



### მიზეზ-მიზეზ...

მეგობარს ვკითხე:
— ეგრე ძალიან
რად ეტანები ღვინოს?
— ურვამ შემიპყრო, ჩემო
ძამია,
და მის ჩახრჩობას
ვცდილობ.
— მერე ამდენ ხანს, ამდენ
ღვინოში
ველარ ჩაახრჩე ურვა?!
— საქმე გაჭირდა, ჩემო
ძამია,
კარგად სცოდნია ცურვა.

**შ. ამირანაშვილი.**

გ. ლომიძის ნახატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# მწერალი–მკითხველი: პირისპირ

## საქართველოს მწერალთა საავტორო შეხვედრები მოსკოვში

**აფხაზეთის** სახალხო პოეტის ბაგრატ შინკუბას ისტორიულ რომანს „უკანასკნელ წასულთაგანს" მიეძღვნა მკითხველთა კონფერენცია, რომელიც მოსკოვის ლიხაჩოვის საავტომობილო ქარხანაში გაიმართა. კონფერენციაზე გამოვიდნენ საარმატურო კომპლექსის მედაზგე ალექსანდრე კოტი, ამწყობი ზეინკალი ანა სლეპოკუროვა, ინჟინერ-კონსტრუქტორი იური გრინბერგი, ბიბლიოთეკარი ნადეჟდა კუვშინოვა და სხვა. რომანში აღწერილ ამბებზე ილაპარაკა და კავკასიათმცოდნეობის თვალსაზრისით გააშუქა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელმა უ. დოლგატმა.

კონფერენციას უძღვებოდა კონსტანტინე სიმონოვი, რომანის ერთ-ერთი მთარგმნელი, რომელმაც ი. კოზლოვსკისთან ერთად საკავშირო მკითხველის სამსჯავროზე გაიტანა აფხაზი მწერლის თხზულება. კონსტანტინე სიმონოვმა ილაპარაკა თარგმანზე მუშაობის შესახებ, თქვა, რომ შინკუბას რომანი კავკასიის ხალხთა კულტურის მშვენება გახდა. იაკობ კოზლოვსკიმ თავისი გამოსვლა მიუძღვნა მხცოვან მწერალთან შეხვედრას, მასთან შემოქმედებითს კონტაქტებს. ბაგრატ შინკუბას ოსტატობის შესახებ ილაპარაკეს მისმა ამხანაგებმა და კოლეგებმა გრიგოლ აბაშიძემ და გიორგი გულიამ, რევაზ მარგიანმა და ივანე თარბამ.

მშობელი ქვეყნის ადამიანთათვის გარჯის, მათი საზრუნავით სულდგმულობის ბედნიერებაზე ილაპარაკა ბ. შინკუბამ თავის სიტყვაში, რომლითაც დარბაზს მიმართა. წიგნი ბავშვობასა და ყრმობაზე, ახლა რომ ვწერ, თქვა მან, — ეს არის აღსარება, რომელშიც მკითხველს გავანდობ ყოველივეს, რაც განმიცდია, ეს არის აღსარება სამშობლოს წინაშე, ხალხის წინაშე, იმათ წინაშე, ვისაც უნდა ვუმადლოდე ყველაფერს, რაც კი რამ გამაჩნია...

**აქ**, როგორც შეხვედრის ადგილს შეჰფერის, მუსიკა უნდა აჟღერებულიყო და აკი ჟღეროდა კიდეც: ისმოდა სიმღერები ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსებზე, დარბაზს მოეფინა ქართული ხალხური სიმღერები ნათელა კირვალიძისა და „ცისფერი ტრიოს", მედეა ძიძიგურისა და ანსამბლ „რუსთავის" შესრულებით. სიტყვამ მოიტანა და „რუსთავის" წევრები პოეტის საავტორო საღამოზე პირდაპირ აეროპორტიდან მოვიდნენ, აეროპორტში კი... თბილისის ძმადნაფიცი საფრანგეთის ქალაქ ნანტიდან აღმოჩნდნენ. მაგრამ კიდევ უფრო მეტი მუსიკა იყო ლექსებში, ჯანსუღ ჩარკვიანმა და მისმა მოსკოველმა მთარგმნელებმა რომ წაიკითხეს.

— ჯანსუღის პირველი ლექსი 1947 წელს გამოქვეყნდა. 30 წელზე მეტია იგი პოეზიაში იღვწის, 30 წელზე მეტია ვგრძნობთ მის ძალუმ მაჯისცემას, — თქვა რიმა კაზაკოვამ, რომელიც ამ საღამოს უძღვებოდა, — და დასძინა: ჩვენი მხრივ, გვინდა ეს ძალუმი მაჯისცემა გამოვხატოთ ჩვენეული თარგმანებით.

იური რიაშენცევი და ელენე ნიკოლაევსკაია, პეტრე ვეგინი და ნათან ზლოტნიკოვი, ვლადიმერ ლეონოვიჩი და ლევ ოზეროვი, მიხეილ სინელნიკოვი და ვიქტორ შიროკოვი — სხვადასხვა თაობის, ტემპერამენტის, ხელწერის პოეტები — კითხულობდნენ ჯანსუღის თარგმანებს და შემდეგ სათუთად უწყობდნენ მაგიდაზე ფურცლებს მისი ლექსების რუსული სტრიქონებით.

შემდეგ მან თავადაც წაიკითხა ამ და სხვა რუს პოეტთა თარგმანები.

მაგრამ აი, დარბაზში გაისმის შეძახილი:

— წაიკითხეთ ლექსი ქართულად!

**რიმა კაზაკოვა:** — ქართულად მას მოკითხეთ!

დარბაზში იცინიან, და ეს სიცილი კიდევ უფრო მეტად გვაგრძნობინებს იმ უშუალობისა და გულითადობის ატმოსფეროს, რომელმაც საღამოზე დაისადგურა პირველი წუთებიდანვე, როცა პოეტის შემოქმედებაზე სიტყვა თქვა გურამ ასათიანმა.

— ერთხელ თბილისის უნივერსიტეტში მკითხველებთან შეხვედრაზე, — თქვა ჯანსუღ ჩარკვიანმა, — გალაკტიონმა ასე დაიწყო თავისი ლექსი: „გაუმარჯოს მღელვარებას!". მართლაც რომ გაუმარჯოს მღელვარებას, რომლითაც ჩვენ აქ, მოსკოვში, გიკითხავთ ჩვენს ლექსებს!

და მან ქართულად წაიკითხა თავისი ლექსები „ლეჩხუმი", „სიკეთე", „ირინოლა", „ლამაზი სიკვდილი", დარბაზს კი თარგმნა აღარ სჭირდებოდა — იგი ტაშით გამოხატავდა მადლიერებას ამ ლექსებში მოსმენილი ბობოქრობისა და ვნებების მუსიკისათვის.

— ჩვენ შესანიშნავი წუთები გავატარეთ, — თქვა საღამოს დასასრულს რიმა კაზაკოვამ. — ეს ორი საათი ჩვენთვის გახდა ნამდვილი დღესასწაული, რომელსაც ყოველთვის მადლიერებით გავიხსენებთ. აქ კიდევ ერთხელ შევიგრძენით, რომ ქართული პოეზია მუდამჟამს ძლიერია ტრადიციების მონაცვლეობისა და მათი მუდმივი განახლების წყალობით.

**„პოეტის** ზეპირი ბიბლიოთეკა. კარლო კალაძე" — გამოაცხადა თავმჯდომარემ. ასე დაიწყო ა. იაბლოჩკინას სახელობის საკავშირო თეატრალური საზოგადოების მსახიობის ცენტრალურ სახლში თანამედროვე ქართული პოეზიის ერთ-ერთი უხუცესის საავტორო საღამო.

ბიბლიოთეკის ახლანდელი გამოშვება, რიგით 116-ე, რიგითი სრულიადაც არ იყო. ლევ ოზეროვმა გამოაცხადა, ბედნიერი შემთხვევის წყალობით გამოშვება კარლო კალაძის დაბადების დღეს დაემთხვაო, და დარბაზიდან სცენაზე წამოვიდა საჩუქრები, ყვავილები, წიგნები, რუსეთის სფსრ დამსახურებულმა მხატვარმა ნ. ლისოგორსკიმ გაშალა პლაკატი, რომელზეც იუბილარის მეგობრული შარჟი იყო გამოსახული. და თითქოს ერთმანეთს გულუხვობაში ეჯიბრებიანო, კალაძის მოსკოველმა კოლეგებმა იწყეს მისი ნაწარმოებების თარგმანების კითხვა, კონსტანტინე სიმონოვმა წაიკითხა პოემა „მამის" თავისივე თარგმანი, ვლადიმერ ლეონოვიჩმა — ბალადა „ზულფუგარი", ელენე ნიკოლაევსკაიამ — ლექსთა დიდი ციკლი გაზაფხულზე, მიხეილ სინელნიკოვმა — ასევე ციკლი... საღამოს თავმჯდომარე ლ. ოზეროვი დამსწრეთ ამაოდ ახსენებდა, კარლო კალაძე პოეტური მინიატურების ოსტატიც არისო, — ყველანი ვრცელ ნაწარმოებებს კითხულობდნენ.

იქნებ საუბარს ასეთი მასშტაბი თვით თავმჯდომარემ და კარლო კალაძის ზეპირი წიგნის წინასიტყვაობის ავტორმა იოსებ გრინბერგმა მიანიჭეს. პირველმა გაიხსენა პასტერნაკის სიტყვები: „ყურადღება მიაქციეთ კალაძის ლექსებს, როგორ დაუხვავებია ხატოვანი თქმები და სახეები, რა მეტაფორები მოუზღვავებია". მეორემ თქვა: „ქართულ პოეზიაზე უნდა ილაპარაკო ისე, რომ ჩვენი მშრალი კრიტიკული აზრი აღენთოს და გადმოსცეს ლექსის მაღალი სულიერი აღმაფრენა. კალაძის წიგნი მთელი სამყაროა და მის ცენტრში პოეტის მიერ დარგული ბაღია. ეს შედარება კი არა, რეალობაა, რომელმაც მიწიდან ფესვი ლექსებში გაიდგა"...

თითქოს ლექსი ვეღარ ეტეოდა დარბაზში. „მისი ფანჯრები, — თქვა ერთ-ერთმა ორატორმა, — პუშკინის მოედანზე გადის. პუშკინი და საქართველო კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს". ლექსებს კითხულობენ მოსკოვის თეატრების მსახიობები, თავის თარგმანებს კითხულობს სომეხი მწერალი მაკირტიჩ კორინი, მოსკოვის სკოლების მოსწავლეები...

სცენაზე დარბაზიდან ბარათი მიაწოდეს: „ავტორს ვთხოვთ, ლექსები ქართულად წაგვიკითხოს"...

იგი გამოდის ავანსცენაზე და იწყებს...

**თ. მამალაძე,**
საქინფორმის სპეც. კორ.
ქ. მოსკოვი.



სურათზე: კარლო კალაძე გამოდის თავის შემოქმედებითს საღამოზე მოსკოველთა წინაშე.
მ. დათიკაშვილის ტელეფოტო. (საქინფორმი).

# ბავშვთა ბედნიერებისათვის

**ამ დღეებში** გაიმართა საქართველოს სს რესპუბლიკაში ბავშვის საერთაშორისო წლის მომწყობი კომისიის პირველი სხდომა. სხდომა გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ბავშვის საერთაშორისო წლის მომწყობი რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარემ ო. ჩერქეზიამ. მან აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებას, რომ 1979 წელი გამოცხადდეს ბავშვის საერთაშორისო წლად, მსოფლიოს ბევრი ქვეყანა მიესალმა. ჩვენს ქვეყანაში, სადაც ყველაფერი კეთდება საბჭოთა ბავშვების ბედნიერი და საამური ცხოვრებისათვის, იუნესკოს ინიციატივა საყოველთაოდ მოიწონეს. „ბავშვები ხომ ჩვენი მომავალია, მათ უნდა განაგრძონ თავიანთი მამებისა და დედების საქმე. დარწმუნებული ვარ, ისინი ცხოვრებას ქვეყნად უფრო უკეთესსა და ბედნიერს გახდიან. ჩვენი ვალი კი ის არის, ვეცადოთ, რომ არც ერთი ხალხის ბავშვებმა არ იცოდნენ, რა არის ომი, რომ მათ მშვიდი, სასიხარულო ბავშვობა ჰქონდეთ", — თქვა 1979 წლის 1 იანვარს ცენტრალური ტელევიზიით გამოსვლისას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა.

ო. ჩერქეზიამ დაწვრილებით ილაპარაკა ბავშვის საერთაშორისო წელთან დაკავშირებით დასახულ ღონისძიებებზე და განაცხადა, რომ მიმდინარე წლის თებერვალში მოსკოვში გაიმართა 21 საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციის, საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებისა და მეთვალყურეებად მოწვეული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს და იუნესკოს წარმომადგენელთა გაერთიანებული სხდომა, რომელიც მიეძღვნა ბავშვის საერთაშორისო წლის მოწყობას. ამ სხდომაზე შეიქმნა „პლანეტის ყველა ბავშვის მშვიდობიანი და ბედნიერი მომავლისათვის" კონფერენციის საერთაშორისო მოსამზადებელი კომიტეტი, კონფერენცია გაიმართება მოსკოვში 1979 წლის 7-11 სექტემბერს.

საქართველოს სს რესპუბლიკაში ბავშვის საერთაშორისო წლის მომწყობი რესპუბლიკური კომისიის სხდომაზე განიხილეს კომისიის სამუშაო გეგმა, დაამტკიცეს ღონისძიებათა კრებსითი გეგმა, კომისიის სამუშაო ჯგუფისა და სამდივნოს შემადგენლობა.

სხდომაზე ინფორმაციები გააკეთეს საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანმა ნ. გურგენიძემ, რესპუბლიკის პროფსაბჭოს მდივანმა ზ. კვაჭაძემ, საბჭოთა კავშირის ქალთა რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ჯავახიშვილმა, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. წიკლაურმა, აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრმა თ. კოლონიამ, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ნ. გუგუნავამ, თბილისის ცენტრალური უნივერმაღის დირექტორმა ლ. დეკანოსიძემ, მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის დირექტორმა ი. გოცირიძემ, საგამომცემლო-პოლიგრაფიული გაერთიანება „განათლების" გენერალურმა დირექტორმა ხ. ბერულავამ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. სირაძემ და სხვებმა.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ვ. ქარუმიძე.

თათბირის შედეგები შეაჯამა ო. ჩერქეზიამ. (საქინფორმი).

# დაჯილდოება

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 1978 წლის მესამე შრომითი სემესტრისა და მეხუთე შრომითი მეოთხედში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:**

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა რაზმი;

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის ლენინის და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა რაზმი;

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა რაზმი;

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა რაზმი;

ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა რაზმი;

ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა რაზმი;

თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის სტუდენტთა რაზმი;

ჩხოროწყუს მექანიკური ტექნიკუმის მოსწავლეთა შრომითი რაზმი;

თბილისის 96-ე საშუალო სკოლის უფროსკლასელთა შრომითი რაზმი.

რუსთავის 21-ე საშუალო სკოლის უფროსკლასელთა შრომითი რაზმი;

მახარაძის რაიონის ვაკიჯვრის საშუალო სკოლის მოსწავლეთა შრომითი რაზმი;

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი, ვ. ი. ლენინის სახელობის სტიპენდიატი ივანე ვახტანგის ძე **ვახტანგიშვილი;**

საქართველოს ალკკ თბილისის ოქტომბრის რაიკომის პირველი მდივანი, კამის საავტომობილო ქარხნის საკავშირო კომკავშირულ დამკვრელურ მშენებლობაზე მომუშავე სტუდენტთა რაზმის მეთაური გოდერძი კლიმენტის ძე **ბუკია;**

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრის ასისტენტი, სტუდენტთა სამშენებლო რაზმის მეთაური ჯანსუღ გიორგის ძე **იოსელიანი;**

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის პედაგოგიკის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი იგორ ილიას ძე **ბარსკი;**

ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი ამირან ნიკოლოზის ძე **ხერგიანი;**

ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი გელა ვარლამის ძე **ტყაბლაძე;**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი არჩილ ილიას ძე **ქათამაძე;**

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი დიმიტრი ივანეს ძე **ხურცილავა;**

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სტუდენტთა სამშენებლო რაზმების რესპუბლიკური შტაბის ინსტრუქტორი ვაჟა დიმიტრის ძე **რაჟამაშვილი;**

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის V კურსის ფრიადოსანი სტუდენტი ირინე დავითის ასული **გაბაძე;**

თბილისის 55-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე ნინო ჯიმშერის ასული **ნანობაშვილი.**

## საერთაშორისო ცხოვრება
## დღედამიწის ფურცლები

# სოლიდარობენ ლაოსელ ხალხს

**ვიენტიანი.** (საკდესი). მთელი ლაოსელი ხალხის მტკიცე პროტესტი და გულისწყრომა გამოიწვია ჩინეთის ჯარების კონცენტრაციამ ლაოსის საზღვარზე, ჯაშუშ-დივერსანტთა ჯგუფებისა და რაზმების გადასხმამ მის ჩრდილოეთ პროვინციებში, საშინაო-პოლიტიკური მდგომარეობის დესტაბილიზების ცდებმა და სხვა პროვოკაციულმა მოქმედებამ, რომელსაც პეკინი მიმართავს ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. მთელ ქვეყანაში ეწყობა საპროტესტო მიტინგები, რომელთა მონაწილენი გულისწყრომით გმობენ პეკინელ ხელისუფალთა დანაშაულებრივ აქციებს. ასეთი მიტინგები გაიმართა ვიენტიანში, რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და პროვინციულ ცენტრებში.

მიტინგების მონაწილენი გმობენ ჩინელ ჰეგემონისტთა პროვოკაციებს, ერთსულოვნად უჭერენ მხარს ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ღონისძიებებს ქვეყნის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის განმტკიცებისათვის, აცხადებენ, რომ მზად არიან აღდგნენ რესპუბლიკის და მისი რევოლუციური მონაპოვრების დასაცავად.

**ჰანოი,** (საკდესი). ვიეტნამის სამამულო ფრონტის ცენტრალურმა კომიტეტმა ლაოსის ეროვნული მშენებლობის ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნა წერილი, რომელშიც გმობს ჩინეთის მმართველი წრეების მოქმედებას, საბრძოლო სოლიდარობას უცხადებს მოძმე ლაოსელ ხალხს, გამოთქვამს მტკიცე გადაწყვეტილებას მარცხი აგემოს საერთაშორისო რეაქციის ძალების აგრესიულ ზრახვებს.

ვიეტნამელი ხალხი და სამამულო ფრონტი, ნათქვამია წერილში, მთლიანად უჭერენ მხარს ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის 6 მარტის განცხადებას და ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 22 მარტის მიმართვას. ისინი მტკიცედ მოითხოვენ ჩინეთის მმართველი წრეებისაგან, რომ დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ყოველგვარი მოქმედება, რომელიც ლაოსის დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას ემუქრება.

ვიეტნამელი ხალხი, ხაზგასმულია წერილში, უდიდეს მადლობას მოახსენებს პარტიას, მთავრობას, ეროვნული მშენებლობის ფრონტს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ლაოსის მთელ მრავალეროვან ხალხს ჩინეთის მმართველი წრეების აგრესიის წინააღმდეგ ვიეტნამელი ხალხის ბრძოლის დროული და მძლავრი მხარდაჭერისათვის.

# საფრანგეთის პოზიცია

### საფრანგეთის მთავრობის განცხადება ეგვიპტე-ისრაელის ხელშეკრულების გამო

**პარიზი,** 29 მარტი. (საკდესი). ეგვიპტე-ისრაელის ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით საფრანგეთის მთავრობამ აღნიშნა, თუ რა პოზიცია უკავია ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მიმართ. დღეს გამართული მინისტრთა საბჭოს სხდომის შემდეგ გამოქვეყნდა განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ სამართლიანი და მტკიცე მშვიდობა, რომელსაც ამ რეგიონის ყველა ხალხი ესწრაფვის, შეიძლება დამყარდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების საფუძველზე მხოლოდ ყოვლისმომცველი მოწესრიგების გზით ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის პალესტინის არაბი ხალხის წარმომადგენლების მონაწილეობით.

# ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა

**ჰანოი,** (საკდესი). ვიეტნამის წინააღმდეგ დანაშაულებრივი აგრესიული ომი რომ გაამართლონ და გააჭიანურონ ვიეტნამსა და ჩინეთს შორის მოლაპარაკება საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა დონეზე, ჩინეთის ხელისუფალნი მიმართავენ გაღმა შედავების პოლიტიკას და უხეშად ცილს სწამებენ ვიეტნამს. ეს ნათქვამია ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს აქ გავრცელებულ ნოტაში ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი. ჩინეთის ხელმძღვანელთა განცხადებანი იმის შესახებ, რომ 1979 წლის 16 მარტიდან მათ გაიყვანეს მთელი თავიანთი ჯარები ჩინეთის ტერიტორიის ფარგლებში და არც ერთი ჯარისკაცი არ დაუტოვებიათ ვიეტნამის ტერიტორიაზე, თავიდან ბოლომდე მოგონილია, ხაზგასმულია ნოტაში.

ჩინეთის ხელისუფალნი, რომლებმაც მძიმე სამხედრო დამარცხება განიცადეს, რომელთა მოქმედება გადაჭრით დაგმო მსოფლიო საზოგადოებრიობამ, ხოლო თვით ჩინელმა ხალხმა პროტესტი განაცხადა, იძულებული იყვნენ დაეწყოთ ჯარების გაყვანა ვიეტნამიდან. მაგრამ დღემდე ჩინეთის ჯარებს კვლავ ოკუპირებული აქვთ ვიეტნამის ტერიტორიაზე ლანგშონის, კაობანგის, ხატუენისა და ხოანგლიენშონის პროვინციების მთელი რიგი პუნქტები.

ჩინეთის მმართველი წრეები, რომლებსაც არ დაუმთავრებიათ ჯარების მთლიანად გაყვანა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიიდან, განაგრძობენ შეიარაღებული ძალების კონცენტრაციას ჩინეთ-ვიეტნამისა და ჩინეთ-ლაოსის საზღვრის მახლობლად, არტილერიის ცეცხლს უშენენ ვიეტნამის ტერიტორიას, აღნიშნულია ნოტაში, ახლა ლაპარაკი დაიწყეს ეგრეთ წოდებულ „საპასუხო დარტყმის უფლების შესახებ". ეს ემსახურება ვიეტნამის წინააღმდეგ ახალი სამხედრო ავანტიურებისათვის მზადების მიზნებს. ჩინეთის ხელისუფალნი კვლავ თავხედურად აყალბებენ ვიეტნამის სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

ჩინეთის მმართველი წრეები, აღნიშნულია ნოტაში, განაგრძობენ კამპუჩიის საშინაო საქმეებში ჩარევას, აგრესიით ემუქრებიან ლაოსს. ეს კიდევ უფრო ამხელს მათს ექსპანსიონისტურ და ჰეგემონისტურ დიდმპყრობელურ მისწრაფებებს.

# ძეგლის წაბილწველნი

**ჰანოი,** (საკდესი). ჩინელმა აგრესორებმა მძიმე დანაშაული ჩაიდინეს ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ — შეურაცხყვეს მას ვიეტნამის რევოლუციის ბელადის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის ხო ში მინის ხსოვნა. კაობანგის პროვინციის დროებითი ოკუპაციის დღეებში, იუწყება ჰანოის რადიო, დამპყრობლებმა დაანგრიეს ხო ში მინის პაკბოს მუზეუმი.

მე-20 საუკუნის ბარბაროსთა შემოსევის შემდეგ მღვიმე, რომელიც კოლონიური საიდუმლო პოლიციის დევნისაგან იფარავდა და ბინად და სამუშაო კაბინეტად ჰქონდა ხო ში მინს, ქვებით არის ამოყრილი, აგრესორებმა დაანგრიეს მახლობლად მდებარე მუზეუმის შენობა, სადაც ინახებოდა ბელადის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან, მის კაობანგში ყოფნასთან დაკავშირებით შეკრებილი უძვირფასესი დოკუმენტები და სამახსოვრო საგნები.

*მოკლედ*

# ყოველი მხრიდან

*30 მარტი*

**ვარშავა.** ლოძში — პოლონეთის საფეიქრო მრეწველობის დედაქალაქში დაიწყო დიდი რკინიგზის სადგურის მშენებლობა. აქ იქნება მოსაცდელი დარბაზები და ბილეთების სალაროები, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები, 14-მეტრიანი ბაქნები, სხვა სამსახურებრივი დანიშნულების ობიექტები.

ახალი რკინიგზის სადგურები შენდება აგრეთვე ბელოსტოკში, კრაკოვში, ფშემისლში, რესპუბლიკის სხვა ქალაქებში.

● ●

**პარიზი.** შრომის საყოველთაო კონფედერაციის მოწოდებით საფრანგეთის სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეებმა 24 საათის გაფიცვა მოაწყვეს, მუშაობა შეწყვიტეს მასწავლებლებმა, ფოსტისა და ტელეგრაფის მუშაკებმა, ბევრი სამინისტროს მოსამსახურეებმა. გაფიცულები მოითხოვენ ხელფასის მომატებასა და სამუშაო კვირის შემცირებას.

● ●

**ბაღდადი.** ჯიბუტი მხარს უჭერს პალესტინის არაბი ხალხის კანონიერ ბრძოლას ეროვნული უფლებებისათვის და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისათვის, განაცხადა ჯიბუტის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა არკატ კურად ხამადუმ. ჩვენი ქვეყანა, ხაზგასმით აღნიშნა მან, შეასრულებს ბაღდადის უმაღლესი დონის თათბირზე მიღებულ ყველა რეზოლუციას, აგრეთვე გადაწყვეტილებებს, რომლებსაც სადათის რეჟიმის მიმართ შეიმუშავებს არაბული ქვეყნების საგარეო საქმეთა და ეკონომიკის მინისტრების კონფერენცია.

● ●

**ტოკიო.** 1979 წლის თებერვალში იაპონიაში აღრიცხულია 1.210.000 სრულიად უმუშევარი. ეს განაცხადა პრემიერ-მინისტრის კანცელარიის წარმომადგენელმა. დღეს მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე შრომის მინისტრმა იუკო კურიხარამ განაცხადა, რომ უმუშევრობა იაპონიის კუნძულებზე კვლავ ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული სოციალური პრობლემაა. (საკდესი).

## იქ, სადაც კაპიტალი ბატონობს



# ჰარლემის გეტოში

**ნიუ-იორკი.** ჰარლემის — ქალაქის ერთ-ერთი ულარიბესი რაიონის — მცხოვრებლებმა მოაწყვეს საპროტესტო დემონსტრაცია. ისინი წინააღმდეგი არიან იმისა, რომ ზანგთა ამ გეტოს ეწვიოს ქალაქის მერი ე. კოჩი, რომელიც დემაგოგიური განცხადებებით ცდილობდა შეენელებინა ადგილობრივ მცხოვრებთა უკმაყოფილება ზანგი მოსახლეობის მიმართ ქალაქის ხელისუფალთა პოლიტიკის გამო. **სურათზე:** დემონსტრაციის დროს.

საკდესის ფოტოქრონიკა.

# გულისწყრომა, აღშფოთება

### არაბული სამყარო პროტესტს აცხადებს სეპარატული გარიგების წინააღმდეგ

**მთელი** არაბული სამყარო დიდად აღაშფოთა იმან, რომ ვაშინგტონში ამერიკის შეერთებული შტატების, ისრაელისა და ეგვიპტის ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს სეპარატულ გარიგებას, რომელიც მიმართულია არაბთა სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ. არაბული ქვეყნების საზოგადოებრიობა გულისწყრომით გმობს სადათის კაპიტულანტურ კურსს, შეერთებული შტატების ავბედით ზრახვებს, რომელიც ცდილობს ისრაელისა და ეგვიპტის საშუალებით განამტკიცოს თავისი სამხედრო-პოლიტიკური პოზიციები ახლო აღმოსავლეთში, გათიშოს არაბთა ერთიანობა, შეაჩეროს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ამ რაიონში.

**სეპარატული** გარიგების წინააღმდეგ მასობრივი საპროტესტო დემონსტრაციები გაიმართა არაბეთის ქვეყნების ბევრ დედაქალაქში. გრანდიოზული დემონსტრაცია მოეწყო ბაღდადში. მილიონზე მეტი კაცი გამოვიდა ქალაქის ქუჩებში, რათა დაეგმო სადათის ანტიარაბული გარიგება ამერიკის იმპერიალიზმთან, და სიონიზმთან. ისინი გაიძახოდნენ: „შეთქმულება ჩაიფუშება!", „სადათი მოღალატეა!", „სადათი თავიდან ვერ აიცილებს ხალხის გულისწყრომას!", ბაღდადის გაზეთებმა დაბეჭდეს ინფორმაციები ხელშეკრულების ხელმოწერის შესახებ შავ სამგლოვიარო ჩარჩოებში.

ერაყის დედაქალაქში გაიხსნა არაბული ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენცია. იგი განიხილავს ერთადერთ საკითხს — როგორ უნდა გამოიყენონ არაბულმა ქვეყნებმა პოლიტიკური და ეკონომიკური სანქციები ეგვიპტის ახლანდელი რეჟიმის წინააღმდეგ. მიმართა რა ბაღდადში ჩამოსულ არაბეთის მინისტრებს, ერაყის რევოლუციური სარდლობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ სადამ ჰუსეინმა მოუწოდა მთლიანად შეასრულონ ამ საკითხზე ბაღდადის უმაღლესი დონის თათბირის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი.

ქურთისტანის დემოკრატიული და რევოლუციური პარტიები გაზეთ „ალ-ერაყში" გამოქვეყნებულ ერთობლივ განცხადებაში ხელშეკრულებაზე სადათის ხელმოწერას მიიჩნევენ ღალატის აქტად და მოუწოდებენ არაბ ხალხებს გაერთიანდნენ იმპერიალიზმის, სიონიზმისა და რეაქციის შეთქმულების ჩაშლისათვის ბრძოლაში.

**ერაყში** ვიზიტად ჩამოვიდა იორდანიის მეფე ჰუსეინი, რომელიც ბაღდადში გამართავს მოლაპარაკებას ეგვიპტე-ისრაელის გარიგებისადმი წინააღმდეგობის გაწევის ღონისძიებების შესახებ, ადრე ეს საკითხი მან დამასკოში განიხილა სირიის ხელმძღვანელებთან ერთად. ჯაკარტაში მყოფმა იორდანიის მემკვიდრე უფლისწულმა ჰასანმა განაცხადა, რომ ვაშინგტონის ხელშეკრულება ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობის დესტაბილიზაციას გამოიწვევს.

**სირიის** საზოგადოებრივი და პროფკავშირული ორგანიზაციების ერთობლივ განცხადებაში ხაზგასმულია, რომ სადათის რეჟიმსა და ისრაელს შორის შეერთებული შტატების აქტიური მონაწილეობით სეპარატული გარიგების ხელმოწერა ახლო აღმოსავლეთს კვლავ ომის ზღვარზე აყენებს. ეს „საზავო" ხელშეკრულება, ნათქვამია განცხადებაში, ხელს უწყობს ამერიკა-ისრაელ-ეგვიპტის ახალი აგრესიული ბლოკის შექმნას, რომლის მიზანია ამერიკის ინტერესების დაცვა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობა ახლო აღმოსავლეთში და აფრიკის კონტინენტზე.

**ლიბიის** საინფორმაციო სააგენტო ჯანა ხელშეკრულებას აფასებს როგორც „თავხედურ პროვოკაციას არაბი ხალხების წინააღმდეგ".

**ახლო** აღმოსავლეთში ეგვიპტე-ისრაელის ხელშეკრულების დადების შედეგად შექმნილი საშიში ვითარება საუდის არაბეთის მთავრობის სპეციალური სხდომის განხილვის საგანი გახდა. სხდომის დროს საგარეო საქმეთა და ეკონომიკის მინისტრებმა მოითხოვეს, რომ საუდის არაბეთმა შეასრულოს ბაღდადის უმაღლესი დონის თათბირის რეზოლუციებით დაკისრებული ვალდებულებანი, რომლებითაც გათვალისწინებულია ეგვიპტის რეჟიმისადმი პოლიტიკური და ეკონომიკური სანქციების გამოყენება.

**„დამცირებისა** და დამონების" ხელშეკრულება უწოდა ეგვიპტე-ისრაელის გარიგებას პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარემ ი. არაფატმა. ბეირუთში გამართულ მიტინგზე მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ არაბები კატეგორიულად უარყოფენ „ამერიკული ყაიდის ზავს", რომელიც ფეხქვეშ თელავს მათ ღირსებას და იერუსალიმი მიყიდა ისრაელ ექსპანსიონისტებს. ამერიკის შეერთებული შტატები და ისრაელი დიდად სცდებიან, თქვა ი. არაფატმა, როცა ფიქრობენ, რომ არაბები გაჰყვებიან მოღალატე სადათს. ისინი არაბთა რიგებში ვერ მოძებნიან „კვისლინგებს", ჩვენი პასუხი ანტიარაბული შეთქმულების მიმართ ბრძოლის გაძლიერება იქნება.

კაიროსა და ტელ-ავივს შორის სეპარატული „საზავო" ხელშეკრულების ვაშინგტონში ხელმოწერის ამბავს უდიდესი აღშფოთებით შეხვდნენ ისრაელის ოკუპაციის უღელქვეშ მცხოვრები არაბები. მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე და ღაზის სექტორში 26 მარტი „სამგლოვიარო დღე" იყო. მთელი დღე-ღამის განმავლობაში არ მუშაობდა არც ერთი სამრეწველო საწარმო, დაწესებულება თუ სასწავლებელი, ყველა დიდ ქალაქში მასობრივი დემონსტრაციები გაიმართა.

ხალხმრავალი საპროტესტო დემონსტრაცია მოეწყო ეგვიპტის საელჩოსთან კუვეიტში. ეგვიპტის მოღალატური მოქმედებით აღშფოთებულმა დემონსტრანტებმა საელჩოს შენობას ქვები დაუშინეს.

„მეგობრობის თეატრის" ორბიტაზე

# ლუბლიანელი სცენის ოსტატები

SLOVENSKO NARODNO DRAMA 1978 1979 GLEDALIŠČE·LJUBLJANA

**არსებობის** სულ რამდენიმე წლის მანძილზე საქართველოს თეატრალური საზოგადოების „მეგობრობის თეატრმა" ჩვენი ქვეყნის მრავალი თეატრალური კოლექტივისა თუ ცალკეული შემსრულებლის ხელოვნება გააცნო თბილისელ თეატრის მოყვარულთ.

მეგობრობისა და თანამშრომლობის ჰორიზონტები თანდათან ფართოვდება. გუშინ, 30 მარტს, თბილისში გასტროლები დაიწყო იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ ლუბლიანის სლოვენიის ეროვნული დრამის თეატრმა. მანამდე, 23 მარტიდან სლოვენი მსახიობები მოსკოველებს აცნობდნენ თავიანთ ხელოვნებას.

ამ მოვლენის გამო „მეგობრობის თეატრის" დირექტორმა შ. ჯოჯუამ „კომუნისტის" კორესპონდენტს უთხრა: — ცნობილია, რომ ლუბლიანა და თბილისი დაძმობილებული ქალაქებია. ჩვენი მეგობრული ურთიერთობის კიდევ ერთი ფურცელი იქნება გასტროლები ქალაქ ლუბლიანის სლოვენიის ეროვნული დრამის თეატრისა. ეს თეატრი საუკუნეზე მეტი ხნისაა. 1919 წლამდე დრამის თეატრთან ოპერის თეატრიც არსებობდა, ხოლო შემდეგ — გამოეყო. სლოვენიის ეროვნული დრამის თეატრს სხვადასხვა დროს მსოფლიოს თითქმის ყველა გამოჩენილი დრამატურგისა თუ მწერლისათვის მიუმართავს. თავის დროზე აქ იდგმებოდა გოგოლის „რევიზორი", შექსპირის „ოტელო", სოფოკლეს „ანტიგონე" და ა. შ. ჩვენი საუკუნის 50-იანი წლებიდან თეატრმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. ამის მიზეზი კი იყო ბრწყინვალე გასტროლები პარიზში, მილანში, რომში, ვარშავაში, ციურიხში, პრაღაში, კრაკოვში.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა თეატრის 1969 წელს მოსკოვსა და რიგაში გამართულმა გასტროლებმა.

სლოვენიის ეროვნული დრამის თეატრი სამ სპექტაკლს გამართავს რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე. გუშინ წარმოდგენილი იყო მ. კარლაჟის სამმოქმედებიანი პიესა „ბატონი გლემბაი" (დამდგმელი რეჟისორი — ფ. იამნიკი). დღეს მაყურებელი ნახავს იბსენის „პატარა ეიოლფს" (დამდგმელი რეჟისორი — გ. პარო), 2 და 3 აპრილს კი ერთად იქნება წარმოდგენილი მოლიერის ორი პიესა ერთმოქმედებიანი — „იმპროვიზაცია ვერსალში" და სამმოქმედებიანი კომედია „სკაპენის ცუღლუტობა" (დამდგმელი რეჟისორი — ვ. ლოტშაკი).

ეჭვს გარეშეა, რომ გასტროლები სასიამოვნო იქნება სტუმარმასპინძელთათვის. იგი ხელს შეუწყობს ორი ქალაქის კეთილნაყოფიერი ურთიერთობის განმტკიცებას.

## გასტროლები და შთაბეჭდილებები



# სომხური ოპერის თვალმარგალიტი

### „ანუში" — ერევნის ა. სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სპექტაკლი

**ოპერა** „ანუშის" ავტორი არმენ ტიგრანიანი ხალხის წიაღიდან გამოსული კომპოზიტორია. იგი ალექსანდრეპოლში (ახლანდელი ლენინაკანი) დაიბადა ხელოსნის ოჯახში და თავიდანვე განიცადა თავისი ხალხის ყოფისა და სულიერი ცხოვრების, მისი პოეზიისა და მუსიკის ცხოველმყოფელი ძალის შთამაგონებელი ზეგავლენა. მუსიკალური განათლება მან თბილისში მიიღო. პროფესიულად დაოსტატებული თავის მშობლიურ ქალაქს უბრუნდება და ფართო საშემსრულებლო, პედაგოგიურ და შემოქმედებითს მოღვაწეობას იწყებს. ქმნის ინსტრუმენტულ და საგუნდო ნაწარმოებებს, სოლო-სიმღერებს, მუსიკალურად აფორმებს სპექტაკლებს, წერს ოპერა „ანუშს". ცხოვრების შემდგომ წლებს კომპოზიტორი თბილისში ატარებს. აქ სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე ამთავრებს თავისი მეორე ოპერის „დავით ბეგის" კლავირს. მაგრამ მაინც ცენტრალური ადგილი ა. ტიგრანიანის შემოქმედებაში ოპერა „ანუშს" უჭირავს, რომლის ლიბრეტო თვით კომპოზიტორმა შექმნა გამოჩენილი სომეხი პოეტისა და მწერლის ო. თუმანიანის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით.

ოპერის პრემიერა გაიმართა 1912 წელს ალექსანდრეპოლში მოსწავლეთა ძალებით. ერევნის სპენდიაროვის სახელობის თეატრში იგი დაიდგა 1935 წელს (ერევნის საოპერო თეატრი გაიხსნა 1933 წელს ა. სპენდიაროვის ოპერა „ალმასტით"). 1939 და 1956 წლებში ოპერა „ანუში" ნაჩვენები იქნა მოსკოვში, 1963 წელს კი ერევნის თეატრის გასტროლების დროს თბილისში ქართველი მაყურებელიც გაეცნო ამ ოპერას. ამჯერად ჩვენმა სტუმრებმა ოპერის ახალი დადგმა წარმოადგინეს, რომლის რეჟისორია სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, სოციალისტური შრომის გმირი ვ. აჯემიანი; დირიჟორია სომხეთის სსრ სახალხო არტისტი ა. ვოსკანიანი; მხატვრულად გააფორმა სომხეთისა და საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რ. ნალბანდიანმა, კოსტუმების მხატვარია საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ნ. დონცოვა, ქორმაისტერი — სომხეთის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რ. აივაზიანი, ქორეოგრაფი — რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი მ. მარტიროსიანი.



...სპექტაკლის უვერტიურას შუა ნაწილში შეუერთდა გუნდი, რომელიც მაყურებელთა დარბაზში იარუსებზე იყო განლაგებული. ამ ვოკალურ-სიმფონიური პროლოგის ჟღერადობაში ზარივით, გლოვასავით გაისმა ანუშისა და საროს ბედკრული სიყვარულის მუსიკალური თემა.

უვერტიურა დამთავრდა. ფარდა აიწია და მთის ძირას პატარა ხასხასა ველი გამოიკვეთა. ქოხიდან მოხდენილი ყმაწვილი ქალი ანუში — ა. ექიმბაშიანი გამოვიდა. ახალგაზრდა მომღერალი დიდი ხანი არ არის, რაც სოლისტად ჩაირიცხა ერევნის საოპერო თეატრში. ანუში მისი პირველი სერიოზული პარტიაა. „მე ყოველთვის მაღელვებს, როდესაც ჩვენი რესპუბლიკის გარეთ მიხდება ამ პარტიის სიმღერა, — ამბობს სოლისტი. — როგორ გაიგებს მაყურებელი სომხურს? სიხარულით მინდა აღვნიშნო, რომ ოპერას ყველგან წარმატებით ხვდებიან. მეტად რთულია ანუშის სახე. იგი მთელი სპექტაკლის განმავლობაში სცენაზეა. ყოველი სურათის მიხედვით მისი ხასიათი სულ ახალ-ახალ ნიუანსებს იძენს, რთულდება და ტრაგიზმამდე ადის".

ა. ექიმბაშიანს სრული დიაპაზონის ლამაზი ლირიკული სოპრანო აქვს. თბილი, ემოციური და პლასტიკურია, კარგად ფლობს თავის ხმას და მუსიკალური ნიუანსების მრავალფეროვნებით გადმოგვცემს გმირის სულიერ სამყაროს. მისი ანუში კდემამოსილი მთის ასულია, რომელსაც თავდავიწყებით უყვარს თავისი სარო.

დასაწყისში ანუში მომხიბლავი, ცქრიალა ქალიშვილია. მის ხმაში ხალისი და სასურველისაკენ დაუოკებელი სწრაფვა ისმება. აი, საროს სერენადაც. სომხური ხალხური მუსიკის კოლორიტი გაისმის ჰაბუკი-მწყემსის საროს — ო. კავაზიანის სიყვარულით ფრთაშესხმულ ხმაში. ახალგაზრდებს უყვართ ერთმანეთი, მაგრამ ტრადიცია შეხვედრის უფლებას როდი აძლევთ. მღელვარე ინტონაციებით არის აღსავსე მათი დუეტი.

მეორე სურათში აღსანიშნავია გოგონების გუნდი. აქვეა ანუშიც, რომელსაც რაღაც შინაგანი შიში აკრთობს. სევდა შეეპარა მომღერლის ხმას. განსაკუთრებით შთამბეჭდავია მისი „სიმღერა ტირიფზე". მეც ტირაფად ვიქცევი და შენი ლოდინით ჩამოვხმებიო — მღერის ლოდინით აფორიაქებული ანუში-ექიმბაშიანი. გამოჩნდა საროც და სიხარულმა კვლავ ახალი ძალით იფეთქა.

მესამე სურათი ჟანრულ-ყოფითი ხასიათისაა. მასში უხვად არის გუნდები, მასობრივი სცენები, ცეკვები. საინტერესოა საგუნდო სიმღერა „ამბარცუმ-აილა" — ეს არის საეკლესიო სადღესასწაულო სიმღერა („ამაღლება"), რომელსაც მშვენივრად ასრულებს გუნდი. აქვე მნიშვნელოვანია მკითხაობის სცენა. ანუშს სატრფოს სიკვდილი უწინასწარმეტყველეს. განწირულებით აჟღერდა მომღერლის ხმა. საბედისწერო წინასწარმეტყველებამ შემდეგ სურათში უფრო მწვავე ხასიათი მიიღო.

ქორწილი სოფელში. კარგად ცეკვავენ აქ ვაჟები „ქოჩარს", კარგია „პატარძლის ცეკვა" (ნ. კელენჯიანი), მოწონების ღირსია მამასახლისის — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის გ. ალავერდიანის და ოჰანის — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ა. კარაჯიანის იუმორისტული დუეტი. აქვე არიან სარო და მისი მეგობარი — ანუშის ძმა მოსი. საერთო მხიარულებაში მათ სთხოვეს რომ იჭიდაონ, მაგრამ ორივემ უარი თქვა, რადგან ადათით კარგი მეგობარი მეგობარს ბეჭებზე არ დასცემს. მაგრამ ბოლოს მაინც შეებნენ ერთმანეთს და სარომ ძირს დასცა მოსი. მარცხმა გააშმაგა მოსი, შეიკრა კვანძი. მოსი — რესპუბლიკის სახალხო არტისტი ა. კარაპეტიანი, ჯანმაგარი, ჩაფსკვნილი ვაჟკაცი, შურისძიებით ათრთოლდა, კარაპეტიანის მძლავრი, ლამაზი ბარიტონი მძულვარებით აბობოქრდა. მან გადაწყვიტა საროს მოკვლა.

ბოლო აქტში საროს ცნობილ არიას („მაღალო მთებო") სევდითა და შინაგანი შფოთვით მღერის სარო-კავაზიანი. მოსი კლავს საროს. შემზარავია დედის (მ. შახვერდიანი) მოთქმა.

მწუხარებისაგან ანუში გაგიჟდა. ფინალში ანუშის მუსიკალურ-სცენური სახე კულმინაციას აღწევს. ახალგაზრდა მომღერლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან კარგად დაძლია ეს ურთულესი სცენა, რომელიც ასე გამომსახველად აქვს მოცემული კომპოზიტორს, ამიტომ ასე დამაჯერებელი იყო ექიმბაშიანის ბოლო სცენა, სიყვარულისათვის თავის გაწირვა.

დირიჟორმა ა. ვოსკანიანმა ნამდვილად შემოქმედებითი მგზნებარებით უხელმძღვანელა სპექტაკლს. მან გამომსახველად გადმოსცა ოპერის პარტიტურა, ყოველ დეტალს თავისებური ფერადოვანი ნიუანსი მოუძებნა, მკაფიო რიტმის გამოკვეთილი მელოდიური მრავალფეროვნება მიუსადაგა, კარგი კონტაქტი დაამყარა სცენასა და ორკესტრს შორის და, ამრიგად, ერთი სუნთქვით შეკრული, მთლიანი, ამაღლებული სპექტაკლი შექმნა.

რეჟისორმა ვ. აჯემიანმა ხატოვანი მიზანსცენებით და გააზრებული მასობრივი სცენებით, რომლებიც შინაგანი რიტმით იყო გაპირობებული, სპექტაკლს საინტერესო სახე მოუძებნა. კარგად გამოკვეთილ ლირიკულ სცენებს კონტრასტულად დაუპირისპირა დრამატულად მგზნებარე სცენები. მხატვარმა რ. ნალბანდიანმა სახოვანი ფერებითა და კარგად მოფიქრებული დეკორაციებით კოლორიტული სპექტაკლი შექმნა. ნამდვილად ეროვნული სუნთქვა იგრძნობოდა მთელ წარმოდგენაში. დეკორაციებს კარგად შეეხამა ეფექტური კოსტიუმები (ნ. დონცოვა), ქორმეისტერების ნამუშევარიც უდაოდ მოწონების ღირსია. კარგად ჟღერს გუნდი. ქორეოგრაფმა საინტერესო ცეკვები გვიჩვენა.

დიდი შინაგანი სითბოთი და უშუალობით აღსავსე ოპერა „ანუში" დიდხანს ეხსომება თბილისელ მაყურებელს, როგორც წარუშლელი ესთეტიკური შთაბეჭდილება.

**თ. მუშკუდიანი,**
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი,

**ნ. სვანიშვილი,**
საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი.

●●

**სურათებზე:** სპექტაკლ „ანუშის" სცენა, ცენტრში ანუში — ა. ექიმბაშიანი; სარო — ო. კავაზიანი (ზემოთ).

ვ. გოგოხიას ფოტო.

## ძვირფასო მკითხველო!

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართებთან და ტელეფონებთან ერთად, დღეიდან გაცნობთ ჩვენი საკორესპონდენტო პუნქტების ადგილსამყოფელსა და ტელეფონებსაც, რაც ერთგვარად გაგიადვილებთ რედაქციასთან კავშირს.

გარდა ამისა, სარედაქციო ფოსტას ხშირად მოაქვს თქვენი წერილები, რომლებშიც გამოთქმულია გაზეთის ბეჭდვის ხარისხის გაუმჯობესების სურვილი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობასთან შეთანხმებით გადავწყვიტეთ გავანდოთ ჩვენი „ხასტამბო საიდუმლოება": მისამართების ქვემოთ მოყვანილი ციფრები — 1-დან 17-მდე — იმ მანქანების ნომრებია, რომლებიც „კომუნისტის" მთელ ტირაჟს ბეჭდავენ, ხოლო ხაზგადასმული ციფრი უშუალოდ იმ მანქანას აღნიშნავს, რომელზეც დაიბეჭდა ეგზემპლარი, ხელთ რომ გაქვთ, და, ბუნებრივია მანქანის მომსახურე პერსონალი პასუხს აგებს სამუშაოს ხარისხისათვის.

იმედია, მოგვაწვდით თქვენს შენიშვნებსა და წინადადებებს.

## თ. შავიშვილი



გარდაიცვალა 1921 წლიდან სკკპ წევრი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლების აქტიური მონაწილე თევდორე ამბაკოს ძე **შავიშვილი**.

თ. შავიშვილი დაიბადა 1890 წელს ოზურგეთის მაზრის სოფელ ლიხაურში. იგი ჯერ კიდევ თოთხმეტი წლისა იყო, როცა ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში — 1904-1905 წლებში მონაწილეობდა თბილისის მუშათა დემონსტრაციებსა და გამოსვლებში, რისთვისაც რამდენჯერმე დააპატიმრეს.

1917 წლის თებერვალში თ. შავიშვილი გამოდის შლისელბურგის კატორღიდან და აქტიურად მონაწილეობს პეტერბურგის პარტიული ორგანიზაციის რევოლუციურ საქმიანობაში როგორც რევკომის სამხედრო ბიუროს წევრი, საბრძოლო რაზმეულის უფროსი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თ. შავიშვილი მუშაობს პასუხსაგებ პარტიულ და საბჭოთა თანამდებობებზე.

1959 წლიდან იგი პერსონალური პენსიონერია. თ. შავიშვილი თავისი რევოლუციური და შრომითი საქმიანობისათვის დაჯილდოებული იყო „შრომის წითელი დროშის", „საპატიო ნიშნის" ორდენებით და მედლებით.

მგზნებარე პატრიოტის თ. შავიშვილის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

**ამხანაგების ჯგუფი.**

## ყაბახი

# სატურნირო ორბიტაზე

**ფეხბურთი.** საკავშირო სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოში მოეწყო სსრ კავშირის თასის გათამაშების წილისყრა. შედეგად ნახევარფინალისტები ასე დაწყვილდნენ: ცსკა — თბილისის „დინამო" და მოსკოვის „დინამო" — „კარპატი". ორივე მატჩს მოსკოველები უმასპინძლებენ: არმიელებს — 9 ივნისს, ხოლო დინამოელები — 10 ივნისს.

**სსრ კავშირის** მეორე და ახალგაზრდულმა ნაკრებმა გუნდებმა ამხანაგური შეხვედრები გამართეს ბულგარეთში. ქალაქ პლევენში საბჭოთა კავშირის მეორე და ბულგარეთის ოლიმპიური გუნდების მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0. ამ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო თბილისის დინამოელმა ჩივაძემ. ახალგაზრდული გუნდებმა ასპარეზობაში, რომელიც ქალაქ სილისტრაში გაიმართა, გაიმარჯვეს ბულგარელებმა — 4:2.

**ევროპის** ჩემპიონატის შერჩევით ჯგუფში სსრ კავშირის ნაკრების მეტოქეებმა — უნგრელებმა ბუდაპეშტში გამართეს ამხანაგური შეხვედრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან და იგი დაამარცხეს ანგარიშით 3:0. ბურთები გაიტანეს ტერიოჩიკმა, ტიბორმა და ტატარმა.

**თავისუფალი ჭიდაობა.** ქალაქ უილკს-ბარში (პენსილვანიის შტატი) გაიმართა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა. გაიმარჯვეს საბჭოთა ათლეტებმა ანგარიშით 7:4. ამ მატჩში ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა თბილისელმა ლევან თედიაშვილმა თავისი მეტოქე — გრეგ ვოიცეხოვსკი ქულებით დაამარცხა.

**ჭადრაკი.** ოთხი ნაკრების მატჩ-ტურნირი, რომელიც თბილისის ჭადრაკის სასახლეში მიმდინარეობს, დღეს დამთავრდება. მეოთხე ტურში საქართველოს ნაკრებმა კარგად ითამაშა მოსკოველებთან და პარტიების გადადების მომენტისათვის დაწინაურდა ანგარიშით 4,5:3,5. ნონა გაფრინდაშვილმა ლამაზად მოუგო დიდოსტატ რაზუვაევს და ამრიგად, რევანში აიღო პირველ წრეში დამარცხებისათვის. გუფელდმა უკვე მეორედ დაამარცხა ვასიუკოვი, ჩეჩელიანმა — ანდრიანოვი. მაია ჩიბურდანიძე შუა თამაშში შეცდა და დამარცხდა ელენე ფათალიბეკოვასთან, უბილავამ წააგო დვორეცკისთან. სამი პარტია ყაიმით დამთავრდა. ლენინგრადელებთან მეხუთე ტურის შეხვედრაში საქართველოს ნაკრები დაწინაურდა ანგარიშით 4,5:2,5.

# რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

### საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა

### 2 აპრილი

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 16.30 — აფხაზეთის აკადემიური გუნდის კონცერტი (მ.), 17.05 — ქართული მულტიპლიკაციური ფილმი — „ექიმი თხუნელა" (ფ.), 17.25 — აბიტურიენტთათვის — ბიოლოგია, 17.55 — განცხადებები (ფ.), 18.00 — „ვესტნიკი" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 18.30 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე თბილისის „დინამო" მინსკის „დინამო". ტრანსლაცია თბილისის ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონიდან (ფ.). შესვენების დროს კინოჟურნალი, 20.15 — „კინო და კომპოზიტორი" (ფ.), 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.30 — კონცერტი (ფ.), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე დონეცკის „შახტიორი" — მოსკოვის „სპარტაკი". დონეცკიდან.

**მეორე პროგრამით** 18.00 — მოსწავლეთათვის საქართველოს ისტორია (ფ.), 18.45 — განცხადებები (ფ.), 18.50 — სტუდენტებისათვის — თეორიული მექანიკა (ფ.), 19.35 — მხატვრული ფილმი „საოცარი ხასიათი", 21.00 — დოკუმენტური ფილმი „კამჩატკის მერიდიანი" (ფ.),

### 3 აპრილი

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 17.00 — აბიტურიენტთათვის — ქართული ენა (ფ.), 17.30 — განცხადებები (ფ.), 17.35 — შევისწავლოთ ინგლისური ენა, 18.05 — ქართული სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ოთხი შარვალი და ერთი ჩითის კაბა" (ფ.), 18.35 — მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის აქტუალური საკითხები, 18.55 — ქართული სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მწირი" (ფ.), 19.20 — საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებულნი — „ველისციხის კოლმეურნეობა", 19.40 — მუსიკალური შესვენება, 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — „სპორტული კალეიდოსკოპი" (განმეორებით. ფ.), 20.45 — მულტიპლიკაციური ფილმი „ბებერი მგელი და ახალბედა პუფიკი", 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.30 — „თქვენი თხოვნით" — საესტრადო კონცერტი, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — საბჭოთა კავშირში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის დღეების გახსნა. კონცერტი კრემლის ყრილობათა სასახლიდან, 23.30 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 23.45 — კონცერტის გაგრძელება კრემლის ყრილობათა სასახლიდან.

**მეორე პროგრამით:** 18.00 — მასწავლებლის საათი — ქართული ენა (ფ.), 18.45 — განცხადებები (ფ.), 18.50 — რუსული სკოლების მერვეკლასელთათვის — ფიზიკა (ფ.), 19.35 — კინონარკვევი — „გიძღვნი ცისარტყელას" (ფ.), 19.55 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი — „მსურველებს შეუძლიათ ჩაეწერონ", 21.00 — დოკუმენტური ფილმი „ჩვენი ჩუკოკალა" (ფ.).

### 4 აპრილი

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 17.00 — აბიტურიენტთათვის — მათემატიკა (ფ.), 17.30 — განცხადებები (ფ.), 17.35 — შევისწავლოთ გერმანული ენა, 18.05 — ქართული მულტიპლიკაციური ფილმები — „ზღვის ლეგენდა", „ახალი მთვარე" (ფ.), 18.20 — მოსწავლეთათვის — კონცერტი (ფ.), 18.50 — დოკუმენტური ფილმი, 19.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 19.30 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მშვიდობით, ინესა" (ფ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — „უნ-



ლიოში" (მ.), 20.00 — „ღვაწლმოსილი მეცნიერი" — აკადემიკოსი რაფიელ დვალი, 20.25 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები „გასეირნება", „გლადიატორი" (ფ.), 21.00 — „მოამბე" საინფორმაციო პროგრამა (მ.), 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — ო. თაქთაქიშვილი. „ორი ნოველა" — თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი (ფ.).

**მეორე პროგრამით:** 18.00 — მოსწავლეთათვის — საქართველოს ისტორია (ფ.), 18.30 — განცხადებები (ფ.), 18.35 — სტუდენტთათვის — მექანიზმებისა და მანქანების თეორია (ფ.), 19.20 — მხატვრული ფილმი „იულიანა", 20.55 — დოკუმენტური ფილმი „ტრეტიაკოვის გალერეა" (ფ.), 21.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დაუსრულებელი გზა" (ფ.).

### 5 აპრილი

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 17.00 — აბიტურიენტთათვის — ფიზიკა (ფ.), 17.30 — განცხადებები (ფ.), 17.35 — უმცროსკლასელთათვის ჩვენ ვსწავლობთ რუსულ ენას, 18.05 — მოსწავლეთათვის — „მეშვიდე გაკვეთილი" (ფ.), 18.50 — კინოჟურნალი, 19.00 „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი" (მ.), 19.30 — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.45 — „დღეს მსოფ-

### 6 აპრილი

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 17.00 — აბიტურიენტთათვის — ქიმია (ფ.), 17.30 — განცხადებები (ფ.), 17.35 — შევისწავლოთ ფრანგული ენა, 18.05 — „პარტიული რეკომენდაცია", 18.25 — მუსიკალური შესვენება, 18.30 — ამხანაგური მატჩი ფეხბურთში: საქართველოს სსრ ნაკრები-სსრ კავშირის ნაკრები. ტრანსლაცია თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონიდან (ფ.), შესვენების დროს — კინონარკვევი, 20.15 — მულტიპლიკაციური ფილმი, 20.25 — „ნატო: ლეგენდა და სინამდვილე" (მ.), 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.30 — საგუნდო მუსიკის კონცერტი (ფ.), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — მუსიკალური ფილმების სატელევიზიო ფესტივალი — „სიმღერა ეკრანზე". ქართული მხატვრული ფილმი „მოიტაცეს თამარ ქალი" (ფ.).

**მეორე პროგრამით:** 18.00 — მასწავლებლის საათი — გეომეტრია (ფ.), 18.45 — განცხადებები (ფ.), 18.50 — მეათეკლასელთათვის — ფიზიკა (ფ.), 19.35 — ქართული მხატვრული ფილმი „დღე უკანასკნელი დღე პირველი", 21.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ტრმული სევანზე" (ფ.).

### 7 აპრილი

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — კინონარკვევი, 10.05 — „ბურატინოს გამოფენა" (მ.), 10.35 — ქართული მულტიპლიკაციური ფილმები — „ეკა და ბეკაკა" და „უხეირო დათუნია" (ფ.), 10.55 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები: — „ბიჭი და ჩიტი", „პაპა და პატარა მედოლე", 11.30 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი — „მოძრაობა და ჯანმრთელობა" (ქართულ ენაზე), 11.40 — „თქვენთვის, მშობლებო" (მ.), 12.10 — „დილის ფოსტა" — მუსიკალური პროგრამა (მ.), 12.40 — „მარჯანიშვილის თეატრი — 50" — „მოგონებები უშანგი ჩხეიძეზე" (განმეორებით. ფ.), 14.30 — „60 წელი ჯანმრთელობის სადარაჯოზე", 15.00 — კინონარკვევი, 15.10 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.), 15.55 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.40 — მუსიკალური შესვენება, 16.45 — „ახალგაზრდობა" — სატელევიზიო პროგრამა, 17.30 — „ცხოველთა სამყაროში" (მ.), 18.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა (მ.), 19.00 — „მეცნიერების სამყაროში" — ქართველი ქიმიკოსების მიღწევები. 19.30 — დოკუმენტური ფილმი „სატყეო მრეწველობა" (ფ.), 19.45 — მუსიკალური ფილმების სატელევიზიო ფესტივალი „სიმღერა ეკრანზე", 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — იოსებ ნონეშვილის შემოქმედებითი საღამო მოსკოვში (ფ.).

**მეორე პროგრამით:** 17.00 — „ბავშვის საერთაშორისო წელი". „მხატვრული ფილმი „ჯადოქარი" (ფ.), 18.15 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სერგო ზაქარიაძე", 19.20 — „ესტრადა და თანამედროვეობა" (განმეორებით. ფ.), 20.25 — დოკუმენტური ფილმები: „შემოქმედნი", „იაკუტიის ეტიუდები", 21.15 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ქართული ბალეტის ოსტატები" (ფ.).

### 8 აპრილი

**პირველი პროგრამით:** 09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — კინონარკვევი, 10.00 — „შევისწავლოთ რუსული ენა (ფ.), 10.30 — „მაღვიძარა" მ.), 11.00 — „ცეროდენას ეკრანი" (ფ.), 11.20 — ტელეკურსელთათვის — ქართული ენა (ფ.), 11.50 — კინოჟურნალი, 12.00 — „სტუმრად ზღაპართან" პოლონური სატელევიზიო მხატვრული ფილმი „წითელი და შავი ქვები". პრემიერა (მ.), 12.45 — მულტიპლიკაციური ფილმი, 13.00 — „მუსიკალური კიოსკი" (მ.), 13.30 — „კინოაფიშა", 14.00 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მერვე საოცრება" (ფ.), 14.40 — „ხუთწლედი. წელი მეოთხე", 15.25 — „კინოს მოყვარულთათვის", 16.45 — „დღეს ჩვენი ქვეყნის საჰაერო თავდაცვის ჯარების დღეა" — სტუდიაშია საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი, ავიაციის მარშალი ა. ი. კოლდუნოვი (მ.), 17.00 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „კედელი", 17.15 — „ჯანმრთელობა" — სატელევიზიო პროგრამა, 17.45 — „კინომოგზაურობის კლუბი" (მ.), 18.45 — ქართული მულტიპლიკაციური ფილმი „მგლები და ცხვრები" (ფ.), 18.55 — ბავშვებისათვის — კონცერტი (ფ.), 19.25 — „ნოქალაქევის გათხრები გრძელდება", 19.50 — ქართული მხატვრული ფილმი „ლონდრე", 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.30 — ქართული ხალხური სიმღერები (ფ.), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „გეპატიჟებით საკონცერტო დარბაზში" — ბიბი კინგი (ფ.).

**მეორე პროგრამით:** 17.00 — ქართული მხატვრული ფილმი „ჩვენი ეზო", 18.35 — კონცერტი, 19.20 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბავშვთა ნახატების გამოფენა" (ფ.), 19.40 — „გლობუსი" (განმეორებით. ფ.), 20.25 — დოკუმენტური ფილმები. „მიხეილ შოლოხოვი", „ოქროს ფესვი" (ფ.).

## ტელევიზია

### 31 მარტი

**პირველი პროგრამით**

09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — კინონარკვევი, 10.05 — შევისწავლოთ ქართული ენა, 10.45 — საბავშვო მხატვრული ფილმი „ალპამისი სკოლაში მიდის", 11.55 — „დილის ფოსტა" (მ.), 12.25 — მოსწავლეთათვის — „მხიარული შეჯიბრება", 13.00 — „ვერნისაჟი", 13.30 — „ჯანმრთელობა" (მ.), 14.15 — „გლობუსი" (ფ.), 15.00 — „შრომის ზეიმი" (ტრანსლაცია თბილისის სპორტის სასახლიდან. ფ.), 18.05 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.50 — „კინოს სამყაროში" (ფ.), 19.55 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „პეკინის კარტები" (მ.), 21,00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.30 — „ფიქრები სიმღერაზე" (კომპოზიტორ ნოდარ გიგაურის სიმღერები) (ფ.), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — ახალი ამბები, 22.45 — შემოქმედებითი პორტრეტები — გურამ საღარაძე (ფ.).

## რადიო

### 1 აპრილი

**პირველი პროგრამით**

08.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მ.), 08.37 — კონცერტი „იუმორესკა", 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი". საკვირაო გამოშვება, 11.45 — „მუსიკალური რადიოაფიშა", 12.15 — „პოეტი მიკროფონთან" — კ. კალაძე, 12.30 — კონცერტი „მხიარული განწყობილება", 12.50 — „გეოლოგები — ხუთწლედს", 13.00 — „ღიმილის საათი". კონცერტი, 14.30 — „ფიზკულტურა და სპორტი". რადიოჟურნალი, 15.00 — „მეგობრობის კონცერტი" (ერევნიდან), 15.30 — „დიდები და პატარები". საუბარი „რა წავიკითხოთ ბავშვის აღზრდის შესახებ", 15.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.15 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „გია მუსიკალური საკრავების ქვეყანაში", 19.05 — კონცერტი გეოლოგთა თხოვნით, 20.30 — „თეატრი მიკროფონთან". რუსთაველის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი", 22.18 — ვალსები, 23.30 — „ლირიკული მელოდიები", 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

## თეატრი

### 31 მარტი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **ნორმა;** კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **დიდი იმედები** (დღისით), **ბერიკონი** (საღამოს); ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **სიყვარულის მგონანი ვარ** (დღისით), **ნოველები** (საღამოს); მინიატიურების სახელმწიფო — **ომმაკის კუდი;** მეტეხის თეატრი — **სამგროშიანი ოპერა;** კინოსტუდია „ქართული ფილმის" თეატრალური სახელოსნო — **კარებს აჯახუნებენ.**

რედაქტორი
**გ. ბედინეიშვილი.**

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო, საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა წულუკიძის აბრეშუმის ძაფსახვევ-საგრეხი ფაბრიკის ყოფილი დირექტორი, პერსონალური პენსიონერი

**ვახტანგ ანტონის ძე ბერაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.


**კომუნისტი**

ჩვენი მისამართი და ტელეფონები:

380096 თბილისი-96, ლენინის 14.



## რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 93-95-98, ადმინისტრაციული ინფორმაციის — 98-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 93-95-24.

## საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 231-02-52; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ზუგდიდი — 28-40; ცხაკაია — 2-23-44; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 27-58; თელავი — 12-09; წითელწყარო — 23-66; ტყიბული — 25-82.



საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14.

იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.